პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 39-ე წელი № 132 (11438) | ოთხშაბათი, 10 ივნისი, 1959 წ. | ფასი 20 კაპ.

140.000 ტონა ჩაისათვის!

★ ★

ხაქართველოს მეჩაიეებო! გაუსწორდით მოწინავეებს, აიღეთ მათგან შრომითი გმირობის მაგალითი!

გახსოვდეთ, რომ ჩაისათვის ბრძოლა ჩვენი რესპუბლიკის მშრომელთა სახელისა და დიდების საქმეა!

80-85 კილოგრამ ჩაის მწვანე ფოთოლს აბარებს ყოველდღიურად წულუკიძის რაიონის სოფელ დედალაურის ხვერდლოვის სახელობის კოლმეურნეობის მოწინავე მკრეფავი გ. წიკწიკაძე.

* * *

ხურათზე: მეჩაიე გ. წიკწიკაძე.
ფოტო პ. ლუცენკოსი (საქდესის ფოტოქრონიკა).

ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲐᲨᲘ ᲩᲐᲒᲛᲣᲚ ᲠᲐᲘᲝᲜᲔᲑᲨᲘ

8 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ

ᲕᲐᲮᲐᲠᲐᲫᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲨᲘ მოკრიფა 468 ტონა ჩაის ფოთოლი, სეზონის დაწყებიდან — 10.516 ტონა.

ᲥᲝᲒᲣᲚᲔᲗᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲨᲘ მოკრეფილია 277,8 ტონა ჩაის ნედლეული, სულ სეზონის დაწყებიდან — 6.152 ტონა.

ᲖᲣᲒᲓᲘᲓᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა მოკრიფეს 150 ტონა ფოთოლი, სეზონის დაწყებიდან — 6.350 ტონა.

ᲒᲐᲚᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ მშრომელებმა მოკრიფეს 120 ტონა ჩაი, სულ სეზონის დაწყებიდან — 4.772 ტონა.

ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲔᲑᲣᲚᲐᲓ, ᲓᲐᲠᲐᲖᲛᲣᲚᲐᲓ

ᲢᲧᲘᲑᲣᲚᲘ. (საკ. კორრ.). რაიონის მოწინავე მეჩაიეები ენერგიას არ იშურებენ უხვი მოსავლის მიღებისათვის. კიდეც იმკიან მამაცური შრომის ნაყოფს. 4 ივნისს რაიონმა 102,1 პროცენტით შეასრულა ჩაის ფოთლის კრეფის მაის-ივნისის დავალება. მეჩაიეებმა მოკრიფეს და სახელმწიფოს ჩაბარეს 959 ტონა ჩაის ხარისხოვანი ფოთოლი.

ჩაის ფოთლის ყველაზე მაღალ მოსავალს იღებს სოფელ დაბაძველის კოლმეურნეობა. 4 ივნისისათვის კოლმეურნეობამ 59 ტონა ფოთოლი მოკრიფა და წლიური დავალება 60 პროცენტით გაანაღდა. რაიონში ერთ-ერთმა პირველმა შეასრულა ჩაის ფოთლის კრეფის მაის-ივნისის გეგმა ახალსოფლის კოლმეურნეობამაც.

ჩაის ფოთლის კრეფა ორგანიზებულად მიმდინარეობს აგრეთვე ცუცხვათის, სოჩხეთის, ზედა ჭყონის და რაიონის სხვა კოლმეურნეობებში.

ᲒᲔᲒᲛᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲛᲔᲢᲔᲑᲘᲗ

ᲐᲑᲐᲨᲐ. („კომუნისტის“ ხეც. კორრ.). რაიონის მეჩაიეებმა 6 ივნისისათვის 100,1 პროცენტით შეასრულეს ჩაის ფოთლის კრეფის მაის-ივნისის გეგმა. მოკრეფილია ორნახევარჯერ მეტი ფოთოლი, ვიდრე შარშან ამავე პერიოდისათვის.

ძველი აბაშის კოლმეურნეობამ მაის-ივნისის დავალება შეასრულა 120 პროცენტით, ნორიოს სტალინის სახელობის კოლმეურნეობამ — 105, ხოლო წყემის მარქსის სახელობის კოლმეურნეობამ — 102 პროცენტით. მეჩაიეებს შორის გამოჩნდნენ ახალი ადამიანები: სეფეთის კოლმეურნეობიდან ფატი ღვანია, ნათელა ხაბეიშვილი, რონა რურუა; სამიქაოდან — აგრაფინა კაჭარავა; ძველი აბაშიდან — ნათელა შეროზია, ლენა ქოიავა, ლიდა გამსახურდია, ქსენია კაკურავა და თინა ქოიავა. თვითეული მათგანი დღეში 70-80 კილოგრამ ჩაის ფოთოლს კრეფს.

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲣᲚᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲪᲘᲐᲛ ᲕᲘᲖᲘᲢᲘ ᲒᲐᲣᲙᲔᲗᲐ Ნ. Ს. ᲮᲠᲣᲨᲩᲝᲕᲡ

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ვალტერ ულბრიხტმა, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ოტო გროტეოლმა, აგრეთვე გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის დანარჩენმა წევრებმა, რომლებიც საბჭოთა კავშირში მეგობრობის ვიზიტით ჩამოვიდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მოწვევით, 8 ივნისს კრემლში ვიზიტი გაუკეთეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ნ. ს. ხრუშჩოვს.

ვიზიტის დროს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის წევრებსა და ნ. ს. ხრუშჩოვს შორის გაიმართა საუბარი, რომელიც გულითად, მეგობრულ ვითარებაში მიმდინარეობდა.

საბჭოთა კავშირის მხრივ საუბარში მონაწილეობა მიიღეს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველმა მოადგილემ ვ. ვ. კუზნეცოვმა, სსრ კავშირის ელჩმა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში მ. გ. პერვუხინმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგის მოადგილემ ი. ტ. ვინოგრადოვმა, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს ევროპის მესამე განყოფილების გამგის მოვალეობის შემსრულებელმა ნ. მ. ლუნკოვმა. (საკდესი).

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲣᲚᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲪᲘᲐᲛ ᲕᲘᲖᲘᲢᲘ ᲒᲐᲣᲙᲔᲗᲐ Ვ. Ი. ᲙᲝᲖᲚᲝᲕᲡ

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის წევრებმა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ვალტერ ულბრიხტისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ოტო გროტეოლის მეთაურობით 8 ივნისს კრემლში ვიზიტი გაუკეთეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ვ. ი. კოზლოვს.

ვიზიტის დროს გაიმართა საუბარი, რომელმაც გულითადად, მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა. ვ. ი. კოზლოვმა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის კ. ე. ვოროშილოვის სახელით სალამი გადასცა დელეგაციის წევრებს, აგრეთვე გადასცა საუკეთესო სურვილები გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტს ამხანაგ ვილჰელმ პიკს.

თავის მხრივ, დელეგაციის წევრებმა სთხოვეს მას სალამი გადასცეს ამხანაგ კ. ე. ვოროშილოვს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტის ვილჰელმ პიკის სახელით.

საუბარს დაესწრნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. პ. გაორგაძე, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ვ. ვ. კუზნეცოვი, სსრ კავშირის ელჩი გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში მ. გ. პერვუხინი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს ევროპის მესამე განყოფილების გამგის მოვალეობის შემსრულებელი ნ. მ. ლუნკოვი.

(საკდესი).

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲣᲚᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲪᲘᲐ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲨᲘ

8 ივნისს სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ კრემლის დიდ სასახლეში სადილი გამართეს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის პატივსაცემად.

სადილზე იყვნენ ამხანაგები ა. ბ. არისტოვი, ნ. გ. იგნატოვი, ა. ი. კირიჩენკო, ფ. რ. კოზლოვი, ო. ვ. კუუსინენი, ა. ი. მიქოიანი, ნ. ა. მუხიტდინოვი, ნ. ს. ხრუშჩოვი, პ. ნ. პოსპელოვი, მ. გ. პერვუხინი, დ. ს. პოლიანსკი და სხვები.

სადილმა განსაკუთრებით გულითადად, ძმური ვითარებაში ჩაიარა. ამხანაგებმა ნ. ს. ხრუშჩოვმა და ვ. ულბრიხტმა სიტყვებით მიმართეს ერთმანეთს. (საკდესი).

* * *

9 ივნისს კრემლში გაიმართა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელთა შეხვედრა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაციასთან.

საბჭოთა კავშირის მხრივ შეხვედრაში მონაწილეობდნენ ამხანაგები ნ. ს. ხრუშჩოვი, ა. ი. კირიჩენკო, ფ. რ. კოზლოვი, ა. ი. მიქოიანი და სხვები.

გერმანელთა მხრივ შეხვედრაში მონაწილეობა მიიღეს გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. ულბრიხტმა, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ო. გროტეოლმა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის სხვა წევრებმა.

შეხვედრის დროს, რაც ძმური ურთიერთგაგების სულისკვეთებით მიმდინარეობდა, განიხილეს ფართო წრე საერთაშორისო მდგომარეობის, ევროპის უშიშროების საკითხებისა და გერმანიისა და დასავლეთ ბერლინის მდგომარეობის საკითხებისა, კერძოდ საგარეო საქმეთა მინისტრების ჟენევის ახლანდელი თათბირის მსვლელობასთან დაკავშირებით. განიხილეს აგრეთვე საბჭოთა კავშირსა და გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის არსებული მჯდომარ მეგობრული ურთიერთობის შემდგომი განვითარებისა და განმტკიცების საკითხები.

ᲛᲔᲥᲐᲜᲘᲖᲐᲢᲝᲠᲔᲑᲝ, ᲛᲘᲰᲒᲐᲫᲔᲗ გ. ᲓᲝᲚᲘᲫᲘᲡ ᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲘᲗ!

ᲡᲘᲢᲧᲕᲐᲡ ᲡᲐᲥᲛᲔᲓ ᲕᲐᲥᲪᲔᲕᲗ

ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲘᲡ ᲘᲜᲘᲪᲘᲐᲢᲝᲠᲔᲑᲗᲐᲜ

★ ★

ᲐᲠ გაგვირვებია, როცა დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთ რაიონში სამუშაოდან დაბრუნებულმა ჩვენი კოლმეურნეობის გამოცდილმა მექანიზატორმა გიორგი დოლიძემ ასეთი სიტყვებით მოგვმართა:

— ხომ ნახეთ, რა საუკეთესო შედეგები მოგვცა ალექსანდრე გიტალოვის მეთოდით მუშაობამ ჩვენს სატრაქტორო ბრიგადაში? ეს სიმინდის თესვასა და მის კომპლექსურ დამუშავებაზე მოდის. ახლა ბიჭებმა გადაწყვიტეს ვიკასროთ ვალდებულება 1.200 ჰექტარზე პურეულის მოსავალი შემჭიდროებულ ვადებში — ათ სამუშაო დღეში ავიღოთ და ნაკლები ხარჯები გავწიოთ. თუ გამგეობა მხარს დაგვჭერს, საქვეყნოდ გამოვაცხადებთ ამას.

„კომუნისტის“ რედაქციას ვაცნობებთ ჩვენი მექანიზატორების თაოსნობის შესახებ. ამასთან, როცა საკითხი გამგეობის სხდომაზე განიხილეთ, გადაწყვიტეთ: ჩვენი კოლმეურნეობის მექანიზატორებმა ნაკისრი ვალდებულება ღირსეულად რომ შეასრულონ, მივიღოთ ზომები კომბაინთა აგრეგატების შეუფერხებლად მუშაობისათვის. ამ მიზნით გამოვყავით კარგი მზარეულები, რომლებიც ალაობის დროს ცხელი და გემრიელი კვებით უზრუნველყოფენ მოსავლის აღებაზე მომუშავე კომბაინერებს, ტრაქტორისტებსა და მთის დამხმარეებს. მოვაწყოთ საველე კარვებს სამუშაოდან თავისუფალ მექანიზატორთა დასასვენებლად, არ მოვაკლებთ წყალს, რის ნაკლებობის გამო წინა წლებში ხშირად გვიფერხდებოდა მუშაობა. რაიონული ორგანიზაციების წინაშე დავაყენეთ საკითხი, რომ მოსავლის აღების დღეებში მექანიზატორების კულტურული მომსახურების მიზნით მოავლინონ საკონცერტო ბრიგადები, მომრავი კინოები, ლექტორები და კულტმუშაკები. ჩვენს მხრივ კი მინდვრად მოვაწყოთ საველე აგიტპუნქტს, ბიბლიოთეკის მუშაობას გავიტანთ უშუალოდ მინდვრად და გავაძლიერებთ ძირეული პრესის მუშაობას.

ᲓᲐᲕᲘᲗ ᲯᲐᲜᲘᲫᲐᲨᲕᲘᲚᲘ,
დაბა წითელწყაროს ს. ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

★ ★

ᲛᲔᲥᲐᲜᲘᲖᲐᲢᲝᲠᲔᲑᲘᲗ ᲐᲮᲐᲚᲡᲝᲤᲚᲔᲚᲔᲑᲡ

მდინარე ჩილოის მარცხენა მხარეს, ზვრების აღმოსავლეთით, 850 ჰექტარი ხორბლის ნათესები შილდის კუიბიშევის სახელობის კოლმეურნეობას ეკუთვნის. ნათესები სუფთაა. არსად სარეველა ბალახები არ მოჩანს. მტკაცელის ოდენა თავთავები მალე მომკას მოითხოვს.

მოსავლის აღება რომ არ დაგვიანდეს, კოლმეურნეობამ ყველაფერი დროულად მოამზადა. საწყობები და კალოები, სანაოვენებლები და სახარისხებელი მანქანები, ტრანსპორტი მზადარის. ეკვსი კომბაინი საგულდაგულოდ შეკეთეთ.

წითელწყაროს რაიონის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის მექანიზატორთა მიმართვას დაწვრილებით გავეცანით და გადაწყვიტეთ ახე ვიმუშაოთ, რომ შეჯიბრების ინიციატორებს გავუწროთ. თავთავიანი კულტურების მოსავალს უდანაკარგოდ ავიღებთ 10 სამუშაო დღეში. თვითეული კომბაინის სადღეღამისო წარმადობას ავიყვანთ 20 ჰექტარამდე. მომკილ ნაკვეთებს სწრაფად გავწმენდთ ნამჯისაგან და დავთესავთ 300 ჰექტარ ხიმინდს. უზრუნველვყოფთ ჰექტარზე 300 ცენტნერი მწვანე მასის მიღებას. მოსავლის აღების მთელ სეზონში დავზოგავთ სწვავის 10 პროცენტს, 2 მანეთით შევამცირებთ თვითეული ჰექტარის მომკის ხარჯებს.

ნაკისრ ვალდებულებათა წარმატებით შესრულებისათვის სოციალისტურ შეჯიბრებაში ვიწვევთ ყვარლის რაიონის ახალსოფლის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მექანიზატორებს.

Ე. ᲙᲣᲠᲫᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ
— ყვარლის რაიონის სოფელ შილდის კუიბიშევის სახელობის კოლმეურნეობის სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, **ნ. ᲛᲔᲢᲠᲔᲕᲔᲚᲘ, რ. ᲗᲔᲕᲓᲝᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ, Ზ. ᲞᲐᲞᲣᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ, Ზ. ᲛᲘᲠᲘᲐᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ** — ამავე კოლმეურნეობის კომბაინერები.

ᲠᲘᲒᲐᲨᲘ ᲒᲐᲔᲛᲒᲖᲐᲕᲠᲐ ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲣᲚᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲪᲘᲐ

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია, რომელიც საბჭოთა კავშირში მეგობრული ვიზიტით იმყოფება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მოწვევით და რომლის შემადგენლობაში შედიან გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვ. ულბრიხტი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ო. გროტეოლი და სხვები, 9 ივნისს გაემგზავრა რიგაში.

გერმანელ სტუმრებთან ერთად რიგაში წავიდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვი.

მგზავრობის დროს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაციას ახლავან სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ვ. ს. სემენოვი, სსრ კავშირის ელჩი გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში მ. გ. პერვუხინი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგის მოადგილე ი. ტ. ვინოგრადოვი და სხვები.

აეროდრომზე, რომელიც მორთული იყო გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და სსრ კავშირის სახელმწიფო ალმებით, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია და ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი გამაცილეს ამხანაგებმა ა. ბ. არისტოვმა, ა. ი. კირიჩენკომ, ფ. რ. კოზლოვმა, ა. ი. მიქოიანმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ა. თ. ტალიზინკომ, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველმა მოადგილემ ვ. ვ. კუზნეცოვმა, აგრეთვე სსრ კავშირში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საელჩოს დიპლომატიურმა შემადგენლობამ. (საკდესი).

დაბა წითელწყაროს ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის უფროსი მექანიზატორი გიორგი დოლიძე № 1 ხატრაქტორო ბრიგადის წევრებს აცნობს ალექსანდრე გიტალოვის გამოცდილებას. ფოტო შ. ჩხეტიანისა.

ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲘᲗ ᲐᲮᲐᲚᲡᲝᲤᲚᲔᲚᲔᲑᲡ

ᲓᲣᲨᲔᲗᲘ. (საკ. კორრ.). რაიონის 6.326 ჰექტარ საკოლმეურნეო მინდვრებზე მწიფდება თავთავიანი კულტურები. მიუხედავად არახელსაყრელი ამინდისა, მოსავალს კარგი პირი უჩანს. ბევრ კოლმეურნეობაში უკვე მზად არიან მოსავლის ასაღებად.

სოფელ ბაზალეთის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის მექანიზატორებს შაქრო ხონიშვილს, რეზო ვერძეულს, იოსებ ხანაშვილს, შაქრო ძგიბაშვილს, გიორგი დორეულს უკვე შეკეთებული აქვთ სამი კომბაინი, 5 ტრაქტორი და სალეწი მანქანები.

იხინი დიდი ემაყოფილებით შეხვდნენ წითელწყაროელ მექანიზატორთა მიმართვას მოსავლის მოკლე ვადებში და უდანაკარგოდ აღების შესახებ და თავის მხრივ ვალდებულება იკისრეს მოსავალი აიღონ 10-12 სამუშაო დღეში, სადაც შესაძლებელია, მოსავალი აიღონ პროგრესული წესით — ორ ფაზად, კომბაინის სადღეღამისო წარმადობა აიყვანონ სულ მცირე 12 ჰექტარამდე, ბუნკერიდან მარცვლის გადმოცლა აწარმოონ აგრეგატის გაუჩერებლად, მინიმუმამდე შეამცირონ მუშახელის გამოყენება მოსავლის აღებაზე. უზრუნველყონ პირუტყვი მტკიცე საკვები ბაზით, ხორბლეულის მოსავალი უდანაკარგოდ აიღონ 600 ჰექტარზე.

ᲡᲬᲠᲐᲤᲐᲓ ᲓᲐ ᲣᲓᲐᲜᲐᲙᲐᲠᲒᲝᲓ

ᲓᲣᲨᲔᲗᲘ. (საკ. კორრ.). რაიონის 6.326 ჰექტარ საკოლმეურნეო მინდვრებზე მწიფდება თავთავიანი კულტურები. მიუხედავად არახელსაყრელი ამინდისა, მოსავალს კარგი პირი უჩანს. ბევრ კოლმეურნეობაში უკვე მზად არიან მოსავლის ასაღებად.

სოფელ ბაზალეთის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის მექანიზატორებს შაქრო ხონიშვილს, რეზო ვერძეულს, იოსებ ხანაშვილს, შაქრო ძგიბაშვილს, გიორგი დორეულს უკვე შეკეთებული აქვთ სამი კომბაინი, 5 ტრაქტორი და სალეწი მანქანები.

იხინი დიდი ემაყოფილებით შეხვდნენ წითელწყაროელ მექანიზატორთა მიმართვას მოსავლის მოკლე ვადებში და უდანაკარგოდ აღების შესახებ და თავის მხრივ ვალდებულება იკისრეს მოსავალი აიღონ 10-12 სამუშაო დღეში, სადაც შესაძლებელია, მოსავალი აიღონ პროგრესული წესით — ორ ფაზად, კომბაინის სადღეღამისო წარმადობა აიყვანონ სულ მცირე 12 ჰექტარამდე, ბუნკერიდან მარცვლის გადმოცლა აწარმოონ აგრეგატის გაუჩერებლად, მინიმუმამდე შეამცირონ მუშახელის გამოყენება მოსავლის აღებაზე. უზრუნველყონ პირუტყვი მტკიცე საკვები ბაზით, ხორბლეულის მოსავალი უდანაკარგოდ აიღონ 600 ჰექტარზე.

ᲘᲪᲜᲝᲑᲓᲔᲗ, ᲛᲐᲗ ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲩᲘᲩᲘᲜᲔᲡ ᲗᲐᲕᲘ ᲩᲐᲘᲡ ᲙᲠᲔᲤᲐᲨᲘ

ᲒᲔᲒᲔᲛᲘᲙᲝᲠᲘ. **ᲛᲐᲨᲝ ᲪᲐᲐᲕᲐᲛ** სოფელ სალხინოს კოლმეურნეობაში მოკრიფა 90 კილოგრამი ჩაი ნაცვლად 30 კილოგრამისა, **ᲫᲐᲫᲣ ᲑᲐᲡᲘᲚᲐᲘᲐᲛ** — 100 კილოგრამი. **ᲕᲔᲠᲐ ᲝᲙᲣᲯᲐᲕᲐᲛ** სოფელ დიდი ჭყონის კუიბიშევის სახელობის კოლმეურნეობაში მოკრიფა 95 კილოგრამი ფოთოლი ნაცვლად 25 კილოგრამისა, ხოლო **ᲟᲣᲟᲣ ᲩᲐᲒᲣᲜᲐᲕᲐᲛ** — 75 კილოგრამი.

ᲥᲝᲒᲣᲚᲔᲗᲘ. **ᲟᲣᲚᲘ ᲫᲘᲫᲘᲒᲣᲠᲛᲐ** სოფელ მუხაესტატეს კოლმეურნეობაში მოკრიფა 131 კილოგრამი ფოთოლი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 25 კილოგრამისა, **ᲚᲘᲚᲘᲐ ᲛᲭᲐᲕᲜᲐᲫᲔᲛ** — 123 კილოგრამი, **ᲪᲘᲣᲠᲘ ᲢᲐᲒᲘᲫᲔᲛ** — 110 კილოგრამი. **ᲜᲔᲚᲘ ᲠᲝᲛᲐᲫᲔᲛ** სოფელ დაგვის კოლმეურნეობაში მოკრიფა 56 კილოგრამი ჩაი ნაცვლად 25 კილოგრამისა, ხოლო **ᲛᲐᲠᲘᲐᲛ ᲡᲢᲐᲚᲔᲕᲐᲠᲘᲫᲔᲛ** — 54 კილოგრამი ჩაი.

ᲒᲐᲚᲘ. **ᲨᲣᲠᲐ ᲧᲝᲚᲑᲐᲘᲐᲛ** ჭუბურხინჯის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში მოკრიფა 63 კილოგრამი ჩაი ნაცვლად 20 კილოგრამისა, **ᲪᲘᲐᲚᲐ ᲔᲑᲔᲘᲐᲛ** ნაბაკევის კიროვის სახელობის კოლმეურნეობაში — 55 კილოგრამი.

დიადი შვიდწლედის გამარჯვებისათვის

ფართოვდება ელექტრომავალმშენებელთა კატრიოტული მოძრაობა

★ ★ ★ ★ ★ ★

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ

შვიდწლედის საძირკველი

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების შვიდწლიანი გეგმით გათვალისწინებულია მეტად მნიშვნელოვან ღონისძიებათა განხორციელება ტექნიკური პროგრესის, საწარმოო პროცესების სრულყოფის, ტექნოლოგიის გაუმჯობესების დარგში. ამ პრობლემებისადმი კომუნისტური პარტიის დიდ ყურადღებაზე მეტყველებს ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილება მოიწვიოს ცენტრალური კომიტეტის პლენუმი, რომელიც განიხილავს აღნიშნულ საკითხებს, დასახავს ღონისძიებებს ტექნიკური პროგრესის ტემპის დაჩქარებისათვის.

ამ გადაწყვეტილებამ მშრომელთა შემოქმედებითი ინიციატივის ახალი მძლავრი აღმავლობა გამოიწვია. თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელექტრომავალსამშენებლო ქარხნის კოლექტივი ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისათვის შეჯიბრების გაჩაღების ინიციატორად გამოვიდა.

ელექტრომავალმშენებელთა თაოსნობას მხურვალედ დაუჭირეს მხარი რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოთა და სამშენებლო ორგანიზაციების კოლექტივებმა. აღებულ იქნა გადიდებული ვალდებულებანი, წარმოებს ბრძოლა პირობის განაღდებისათვის.

წარმატების მოპოვებისათვის მეტად მნიშვნელოვანია გამოცდილების გაზიარება, მოწინავე ტექნოლოგიის გადმონერგვა. მოსკოვის ფაბრიკებში წარმატებით ინერგება რანტინი. ფეხსაცმლის შეკერვის პროგრესული ტექნოლოგია, რომელიც შეიმუშავა და გაავრცელა კაპრანოვის სახელობის ფაბრიკამ. ამ ფაბრიკის ოსტატის მარია ჩეპელოვას მეთოდით ლიკვიდირებულია მესამე ხარისხის ფეხსაცმლის გამოშვება, რის შედეგად საწარმო წლიურად 300 ათას მანეთ ეკონომიას იღებს. 10-15 პროცენტით გადიდდა შრომის ნაყოფიერება, გაუმჯობესდა პროდუქციის ხარისხი. მოსკოველთა გამოცდილების გასაზიარებლად ზოგი რამ გაკეთდა თბილისის № 1 ფეხსაცმლის ფაბრიკაში. საჭიროა ამ მხრივ გაღრმავდეს მუშაობა.

ტექნიკური პროგრესისათვის მეტად მნიშვნელოვანია, რომ წარმოების მოწინავეთა მუშაობის ხერხებსა და მეთოდებს ფართო პროპაგანდა გაეწიოს. აუცილებელია საწარმოს ყოველი წევრი წამოვწიოთ მოწინავეთა დონემდე, რომ უზრუნველყოთ საერთო აღმავლობა.

ეს საქმე კარგად არის დაყენებული თბილისის მაუდ-კამოლის კომბინატში, სადაც ყველას კუთვნილება გახდა მოწინავე მრთველების ა. წიკლაურის, მ. ჩქარეულის, ვ. სობოლევას შრომის ნოვატორული ხერხები. ეს მრთველები მაღალი საწარმოო მაჩვენებლებით გამოირჩევიან. მაგალითად, ა. წიკლაური ფთილის გამოცვლას 18,8 წამს ანდომებს, მაშინ როდესაც ნორმით 32 წამია გათვალისწინებული, ხოლო მ. ჩქარეული და ვ. სობოლევა ფთილების გამოცვლას უფრო ნაკლებ დროში ახერხებენ.

წარმოების კულტურის ამაღლებას, ტექნოლოგიური პროცესების სრულყოფას დიდი ყურადღება ექცევა თბილისის აბრეშუმსაქსოვ ფაბრიკაში. მკვეთრად გაუმჯობესდა ქსელვის ტექნოლოგია. თუ წინათ ქსელვა მუყაოს დადებით წარმოებდა, ეს საჭირო აღარ არის. ამან ფაბრიკას საშუალება მისცა 65-70 ტონა მუყაო დაეზოგა. მოსამზადებელი საამქროს სამასრე განყოფილებაში მასრის დახვევის დიამეტრი 20 მილიმეტრს არ აღემატებოდა, რის შედეგად ძაფის სიგრძე სხვადასხვა ასორტიმენტზე ცვალებადი იყო. ტექნოლოგიის გაუმჯობესებით დახვევის დიამეტრი 23 მილიმეტრამდე აიყვანეს, რამაც საგრძნობლად გაზარდა საქსოვი დაზგის წარმადობა.

ტექნიკური პროგრესი, წარმოების ტექნოლოგიის სრულყოფა გადამწყვეტ როლს ასრულებს ახალი სახის პროდუქციის ათვისებაში. მაგალითად, თბილისის ელექტრომავალსამშენებლო ქარხნის კოლექტივმა აითვისა ელექტრომავლის ნაწილების წარმოება, რომლებსაც ქალაქ ნოვოჩერკასკიდან იღებდნენ. მათ შორის არის წნევის ძრავები, დამხმარე მანქანები, სამუხრუჭე რეზერვები, მცირე ზომის კბილანები და სხვ. პროდუქციის ათვისებას ახალი ტექნიკის დანერგვამ და ტექნოლოგიის გაუმჯობესებამ შეუწყო ხელი.

წარმოების კულტურის ამაღლება მჭიდროდ არის დაკავშირებული გამომგონებლობასა და რაციონალიზაციის დანერგვასთან. ჩვენს რესპუბლიკაში ერთი წლის განმავლობაში გამომგონებლებმა და რაციონალიზატორებმა 12 ათასამდე წინადადება შეიტანეს. დაინერგა 4.800-ზე მეტი რაციონალიზატორული წინადადება და გამოგონება, რის შედეგად მიღებულმა ეკონომიამ 50 მილიონ მანეთს გადააჭარბა.

რესპუბლიკაში ცოტა როდია ისეთი საწარმო, სადაც სერიოზულ ყურადღებას უთმობენ გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა მოძრაობის განვითარებას. რუსთავის აზოტოვანი სასუქების ქარხნის რაციონალიზატორებმა სამი წლის მანძილზე წამოაყენეს და დანერგეს 1.750 რაციონალიზატორული წინადადება და ტექნიკური გაუმჯობესება, რამაც საწარმოს მისცა 10 მილიონი მანეთი ეკონომია. ქარხანაში ბევრი მუშა გამომგონებელი ან რაციონალიზატორია.

ქარხნის კოლექტივმა მხურვალედ მოიწონა მოსკოვის ქარხანა „ალუჩუკის“ რაციონალიზატორებისა და გამომგონებლების თაოსნობა „შვიდწლედის სახელობის ნოვატორული წინადადებების ფონდის“ შექმნის შესახებ და მოწოდებით მიმართა რესპუბლიკის გამომგონებლებსა და რაციონალიზატორებს გააჩაღონ სოციალისტური შეჯიბრება შვიდწლიანი გეგმის ვადამდე შესრულებისათვის. ქიმიკოსებმა იკისრეს შვიდწლედის ბოლოსათვის საწარმოს ყოველი მეხუთე მუშა იყოს რაციონალიზატორი ან გამომგონებელი; ყოველწლიურად თვითეულმა რაციონალიზატორმა წამოაყენოს არანაკლებ 2 წინადადებისა; წარმოებაში დანერგონ წინადადებების 75 პროცენტი, შექმნან ინჟინრების, ტექნიკოსებისა და მუშების შემოქმედებითი თანამშრომლობის 10 კომპლექსური ბრიგადა, რათა უზრუნველყონ წარმოების ვიწრო ადგილების ლიკვიდაცია; რაციონალიზატორთა და გამომგონებელთა წინადადებების დანერგვის შედეგად შვიდწლედის სახელობის ნოვატორული წინადადებების ფონდში შეიტანონ 30 მილიონი მანეთი.

ტექნოლოგიის გაუმჯობესებაში ფასდაუდებელია ქიმიის როლი. ქიმიური პროცესების დახმარებით მასალის დამუშავება უფრო სწრაფად და უკეთ ხერხდება. ამ მხრივ კარგი გამოცდილება აქვს თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსაშენებლო ქარხანას. აქ დაინერგა ქიმიური ტექნოლოგია, რაც დიდად დაეხმარა ჩარხშენებლებს ტექნიკური პროგრესისათვის ბრძოლაში. პლასტიკური მასები, რომლებსაც საწარმო იყენებს, საშუალებას აძლევს მას დაზოგოს ბევრი თუჯი, ფოლადი, ბრინჯაო, ტყვია.

„163“ მოდელის სახარატო ჩარხის სიჩქარეთა კოლოფის გადამრთველის სახელურს ამ ბოლო დრომდე მთლიანად ლითონისაგან ასხამდნენ. ახლა ლითონის ნაშენელოვანი ნაწილი პლასტმასით შეიცვალა.

ქარხანაში დაწნეხილი თხვნილისაგან აკეთებენ პლასტმასის სახელურებს ინსტრუმენტებისათვის. ეს ფხვნილი გამოყენებული იქნება აგრეთვე სახარატო ჩარხების რგოლებისა და მთელი რიგი სხვა დეტალების დამზადებისათვის. ქარხანაში უკვე გაკეთებულია 4 წნეხფორმა, რომელთა საშუალებით პლასტმასისაგან დაიტვიფრება მიწოდების კოლოფის სახელური, გარსაცმის გასახსნელი ფასონური სახელური და საიზოლაციო მილები ელექტროსადენისათვის, რაც წინათ ლითონისაგან კეთდებოდა.

შვიდწლიანი გეგმით დასახული დიდი ამოცანების შესრულებისათვის საჭიროა საწარმოები აღვჭურვოთ უფრო სრულყოფილი მანქანებით, მოწყობილობით, ხელსაწყოებით, გავაუმჯობესოთ წარმოების ტექნოლოგია, რომ შეგქმნათ ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების აშენების მტკიცე მატერიალურ-ტექნიკური საფუძველი.

ნ. გვიშიანი,
ეკონომიურ მეცნიერებათა კანდიდატი.

ამუშავდება ახალი ღუმელი

კასპი. (საკ. კორ.). მოქმედი ღუმელების გვერდით მონტაჟდება ახალი მბრუნავი ღუმელი, რომელსაც კასპელი მეცემენტეები საკუთარი სახსრებითა და საშუალებებით აგებენ. ეს ღუმელი ყველაზე დიდი იქნება ქარხანაში. იგი წლიურად ათასობით ტონა ცემენტს გამოუშვებს. ღუმელის საექსპლოატაციოდ გადაცემა გათვალისწინებულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გახსნის დღისათვის — 24 ივნისისათვის.

ახალი ღუმელის დამონტაჟებაში მონაწილეობს ქარხნის მთელი კოლექტივი. აღსანიშნავია ა. ჯუმაევის მემონტაჟეთა ბრიგადის შრომითი წარმატებები, ქარხნის მექანიკური საამქროს (უფროსი გ. ჩაფიძე) და ელექტროსაამქროს (უფროსი ს. ნონიაშვილი) კოლექტივების ნაყოფიერი შრომა. ზეინკლები დ. ყივაძე, დ. კოშაძე, დ. ნიავაძე, ს. მერებაშვილი, ელექტროზეინკლები ს. წიკლაური, ს. დალაქიშვილი ყოველდღიურ დავალებებს გადაჭარბებით ასრულებენ.

შიფერის საამქროში მიმდინარეობს მთელ რიგ შრომატევად სამუშაოთა პროცესების მექანიზაცია, დაყალიბებული შიფერისათვის უალიბის ჩამოცილება დიდ და მძიმე შრომას მოითხოვს. ახლა საამქროში იდგმება სპეციალური მანქანა ამ საქმის შესასრულებლად. წლის ბოლომდე საექსპლოატაციოდ გადაეცემა შიფერის მესამე დასაყალიბებელი მანქანა. წელსვე დამთავრდება მასის მოსამზადებელი განყოფილების რეკონსტრუქცია.

სურათზე: ელექტროსამონტაჟო საამქროს ბრიგადირი ო. ტოგონიძე (მარცხნივ) დავალებას აძლევს მემონტაჟე თ. ლაშხს.
ფოტო შ. ჩხეტიანისა.

შეასრულეს ნახევარი წლის გეგმა

თბილისის ელექტროტექნიკური ქარხანა ამზადებს წევის ქვესადგურის სამართავ ფარებს, საკონტაქტო ხაზის ნაწილებს, სხვადასხვა რელეებს და უნივერსალურ რკინის საჭრელ მაკრატლებს. ქარხნის კოლექტივი წლის დასაწყისიდანვე ფართოდ ჩაება შეჯიბრებაში შვიდწლიანი გეგმის ვადამდე შესრულებისათვის და კარგ შედეგებსაც მიაღწია. საწარმომ მაისში სასაქონლო პროდუქციის გამოშვების გეგმა 188 პროცენტით შეასრულა. ამით ქარხანამ წლიური გეგმა 58 პროცენტით გაანაღდა.

საწარმოში კარგი მუშაობით გამოირჩევიან ელექტროსამონტაჟო და საზეინკლო საამქროები. განსაკუთრებით დაწინაურდნენ ელექტრომემონტაჟეთა ბრიგადები, რომლებსაც ო. ტოგონიძეა პ. პანტელეევი ხელმძღვანელობენ. საზეინკლო საამქროში კარგი მუშაობით გამოირჩევა ი. იშხანოვის ბრიგადა.

მაისში წარმატებით ამუშავეს ავრეთვე ხარატებმა ო. ირემაშვილმა, კ. ბედიამ, ლ. კოროლოვმა, ზეინკლებმა გ. მუხიგულაშვილმა, ი. გოჩიაშვილმა, ი. ძებისაშვილმა, დ. ჩიტაიშვილმა.

ქარხნის კოლექტივი ახლა იმისათვის იბრძვის, რომ თვის დავალება სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გახსნის დღისათვის — 24 ივნისისათვის გაანაღდოს.

ი. გეგეშიძე.

* * *

სურათზე: ელექტროსამონტაჟო საამქროს ბრიგადირი ო. ტოგონიძე (მარცხნივ) დავალებას აძლევს მემონტაჟე თ. ლაშხს.
ფოტო შ. ჩხეტიანისა.

ეს იქნება 1960 წელს

უკანასკნელ წლებში თბილისის ჩაის გადამწონი ფაბრიკა წარმატებით ასრულებს გეგმებს ყველა ტექნიკურ-ეკონომიური და საფინანსო მაჩვენებლის მიხედვით. ამის საილუსტრაციოდ დავასახელებთ რამდენიმე ფაქტს. 1954 წელთან შედარებით 1958 წელს წარმოების მოცულობა გაიზარდა 20 პროცენტით, შრომის ნაყოფიერება აჰაღლდა 40 პროცენტით, პროდუქციის თვითღირებულება შემცირდა 3.727 ათასი მანეთით. მარტო 1958 წელს ფაბრიკაში პროდუქციის თვითღირებულება 333 ათასი მანეთით შემცირდა. გადაჭარბებით არის განაღდებული 1959 წლის პირველი კვარტალის, აგრეთვე აპრილის და მაისის დავალებანი.

ყოველივე ამას ფაბრიკის კოლექტივმა მიაღწია წარმოების ორგანიზაციის გაუმჯობესებით, შრომის ახალი მეთოდების, მექანიზაციისა და ავტომატიზაციის ფართოდ დანერგვის შედეგად.

მარტო უსაამქროო მართვაზე გადასვლამ, აპარატის გაიაფებასთან ერთად, მმართველობიდან გამოათავისუფლა 13 უმაღლესი და საშუალო განათლების მქონე მუშაკი, რომლებიც გადაყვანილ იქნენ საწარმოო უბნებში. ამით ხელფასის ფონდში წელიწადში მიღებულია 79 ათასი მანეთი ეკონომია. ამასთან, ნედლეულის საწარმოო უბანში სატვირთო ლიფტების რეკონსტრუქციით და ურიკების გამოყენებით შეიცვალა ნედლეულის წყობის ორგანიზაცია. ამ ღონისძიებებით გამოვათავისუფლეთ 6 მუშა. გამომუშავება ერთ მუშაზე 9 ტონა ჩაიდან აკიყვანეთ 15 ტონამდე და ამით შრომის ნაყოფიერება ამ უბანზე 65 პროცენტით გავზარდეთ.

დამხარისხებელ და საკუპაჟო უბანში დავდგით ოთხი ამწეები და ოთხი ჩაისსაჭრელი მანქანა. ამით მკვეთრად გავაუმჯობესეთ მუშაობის პირობები და უზრუნველვყავით ნარევების შეუფერხებლად და ხარისხოვნად მომზადება.

ფაბრიკაში მრავალი რაციონალიზატორული წინადადება დაინერგა მანქანების მუშაობის გასაუმჯობესებლად. ამან კი მნიშვნელოვნად გაზარდა მათი წარმადობა. მაგალითად, თუ მანქანები წუთში აკეთებდა 58 ბრუნვას და იძლეოდა 2,9 კილოგრამ პროდუქციას, ბრუნვის სისწრაფე აკიყვანეთ 64-მდე და მივაღწიეთ წუთში 3,2 კილოგრამი პროდუქციის მიღებას. ასეთი მუშაობით ყველა მანქანის წარმადობა დღეში 10 პროცენტით გავადიდეთ.

სერიოზულად გავაუმჯობესეთ შრომის ორგანიზაცია. მაგალითად, თუ წინათ ერთ მანქანას ემსახურებოდა ბრიგადა 3 მემანქანის შემადგენლობით, ახლა ერთ მანქანას 2,5 მემანქანე ემსახურება. ამით უბნიდან 12 კვალიფიციური მემანქანე გამოვათავისუფლეთ და მათგან დამატებით შევქმენით ბრიგადები. ამ უბანზე შრომის ნაყოფიერება 32 პროცენტით გაიზარდა.

ფაბრიკის კოლექტივის მიღწევები ზღვრული არ არის. ფაბრიკაში დიდი ინტერესი გამოიწვია სკკპ ვლადიმირის საოლქო კომიტეტისა და ვლადიმირის სახალხო მეურნეობის საბჭოს ინიციატივამ, რომლის არსიც იმაში მდგომარეობს, რომ შევიმუშაოთ ღონისძიებანი, რომლებიც საშუალებას იძლევიან ნაკლები დანახარჯით და უფრო სწრაფად, ვიდრე ახალი შენებლობის დროს, გადიდდეს პროდუქციის გამოშვება მოქმედ საწარმოთა რეკონსტრუქციისა და ნაწილობრივი გაფართოების გზით, მექანიზაციისა და ავტომატიზაციისა და დანერგვით, მოდერნიზაციით. ვლადიმირელთა თაოსნობის პასუხად კონკრეტული ღონისძიებების შემუშავებისათვის შრომობენ ამჟამად ფაბრიკის ყველა უბანზე. გადაიდგა პირველი პრაქტიკული ნაბიჯები. ფაბრიკის რაციონალიზატორებმა ა. ივანიშვილმა, ვ. გრომოვმა, მ. კიმიკინოვმა, ი. ნაუმენკომ განწონის მანქანების რეკონსტრუქციით ორჯერ გაზარდეს მათი წარმადობა, ანჟამად სწრაფი ტემპით მიმდინარეობს კიდევ ორი ავტომატის რეკონსტრუქცია, რაც პირველი ივლისისათვის დამთავრდება. ამით ფაბრიკის წარმადობა გაიზრდება 1.020 ტონა პროდუქციით. ხოლო შრომის ნაყოფიერება 15,2 პროცენტით ამაღლდება.

ყველა ამ და სხვა ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებების განხორციელებით ფაბრიკის საწარმოო სიმძლავრე მნიშვნელოვნად გადიდდება და 1960 წლისათვის გადააჭარბებს შვიდწლედში დასახულ დონეს.

მ. სარჯველაძე,
თბილისის ჩაის გადამწონი ფაბრიკის დირექტორი, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი.

შრომითი დიდების გზაზე

შვიდწლედის ადამიანები

— **მაშ** გადაწყვეტილი გაქვს ჩვენთან იმუშაო? ძალიან კარგი, მხოლოდ დიდი სიფრთხილე და გულისყური დაგჭირდება, დღისით და ღამით ზღვასთან გექნება საქმე.

— ვეცდები კარგად დავეუფლო ამწეზე მუშაობას, არ შეგარცხვენთ.

მეორე დილით კომკავშირელმა გივი გუგუშვილმა მწვანე კონტეინერზონი ჩაიცვა და № 5 ამწის ეკიპაჟს ამოუდგა მხარში. უფროსი მეამწე ა. ბაჩილავა გულდასმით უხსნიდა მას ამწის ტექნიკურ აღჭურვილობას, ტვირთების ჩქაროსნულად დამუშავების ხერხებს, აჩვენდა საჭეთან ჯდომას და გოლიათური მანქანის რიტმულად მართვას. სამი თვის შემდეგ გ. გუგუშვილმა დამოუკიდებელი მუშაობის უფლება მოიპოვა.

ბეჯითი შრომით მან მალე გამოიჩინა თავი, მის შესახებ ლაპარაკობდნენ საწარმოო თათბირებზე, კრებებზე. მისი სურათები გამოჩნდა კედლის გაზეთში, მოწინავეთა დაფაზე. შეიტანეს სპატიო წიგნში. 1958 წლის აგვისტოში გ. გუგუშვილი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის რიგებში მიიღეს. ამას დაემთხვა სხვა მოვლენაც — მისი ხელმძღვანელობით შეიქმნა ცალკე კომკავშირული ეკიპაჟი, რომელსაც პირველ ძირითად გემმის ადგომზე მდგარი № 25 ამწე ჩაბარეს.

ახალგაზრდული ეკიპაჟის წევრებმა გადაწყვიტეს შეუფერხებლად და ჩქაროსნულად ეწარმოებინათ ტვირთების დამუშავება, აემაღლებინათ თავიანთი კვალიფიკაცია, ეშრომათ კომუნისტურად. გივი გუგუშვილი, იროდი ბასილაია, ალექსანდრე აივაზოვი და ომარ მირცხულავა დღედაღამ მამაცურად შრომობდნენ, ყოველ რეისზე 8-10 საათით ადრე ისტუმრებდნენ გემებს.

მარტიდან ამწე გეგმიან პროფილაქტიკურ რემონტზე დადგა, მაგრამ მის წევრებს გულზე ხელი არ დაუკრეფიათ, უსასყიდლოდ მონაწილეობდნენ სარემონტო სამუშაოებში, ხოლო თავისუფალ დღეებში სხვა ამწეებზე მუშაობდნენ. ამით გარკვეული თანხა დაუზოგეს წარმოებას და ამწე ვადაზე 20 დღით ადრე ჩააყენეს მწყობრში.

შრომისმოყვარე, ენერგიული მუშა, კარგი ორგანიზატორი — ასე იცნობენ გივი გუგუშვილს ნავსადგურელები. ამიტომაც იგი წელს დიდი ნდობით აღჭურვეს, საქალაქო საბჭოს დეპუტატად აირჩიეს. ამას წინათ მის ბრიგადას კომუნისტური შრომის კოლექტივის სახელი მიენიჭა.

ფოთის ნავსადგურის კომუნისტი მეამწე გივი გუგუშვილი, თავისი ეკიპაჟის წევრებთან ერთად თავდადებით იბრძვის შვიდწლედის ხუთ წელიწადში შესრულებისათვის.

ბ. კომპახიძე.

* * *

სურათზე: ფოთის ნავსადგურის № 25 ამწის კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელი გ. გუგუშვილი.
ფოტო ბ. გავრილენკოსი.

ტექნიკური პროგრესისათვის

სკკპ XXI ყრილობამ დასახა ახალი ზღუდეები, რომლებსაც უნდა მიაღწიოს ჩვენმა ქვეყანამ შვიდწლედში. თბილისის სტალინის სახელობის ორთქლმავალვაგონშემკეთებელი ქარხნის კოლექტივი თავდადებით იბრძვის იმისათვის, რომ თავისი წვლილი შეიტანოს გაშლილი კომუნისტური მშენებლობის საქმეში.

ქარხნის პარტიული ორგანიზაციის, პარტიული კომიტეტის წინაშე დაისახა ამოცანა სათავეში ჩაუდგეს შვიდწლედის დავალებათა შესრულებისათვის მშრომელთა პრაქტიკულ მუშაობას, გააუმჯობესოს სოციალისტური შეჯიბრებისადმი ხელმძღვანელობა. ახლა ჩვენ მთავარ ყურადღებას ვაქცევთ მასების ინიციატივისა და შემოქმედების განვითარებას, ქარხანაში საწარმოო აღმავლობის ატმოსფეროს შექმნას. მუშათა ტექნიკური შემოქმედება ჩამდგარია შვიდწლედის სამსახურში. ყოველივე ამის შედეგად ქარხნის კოლექტივმა საერთო პროდუქციის გამოშვების ხუთი თვის გეგმა 108,5 პროცენტით გაანაღდა.

მოძრავი შემადგენლობის შეკეთების დარგში წარმატებებს აღწევენ და ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებაში დაწინაურდნენ შემკეთებელი, სალითონო, სამჭედლო, საქვაბე, დამშლელ-საკომპლექტო, ორთქლმავალმწყობი, ენერგოძალოვანი დანადგარების საამქროთა კოლექტივები. განსაკუთრებით აღსანიშნავია მოტორვაგონსაქციის საამქროს კოლექტივის მაღალნაყოფიერი მუშაობა.

საწარმოში დიდი ყურადღება ექცევა არსებულ სიმძლავრეთა უკეთ გამოყენებას ახალი ტექნიკისა და მოწინავე ტექნოლოგიის დანერგვის გზით. სალითონო საამქროში მოკლე დროის მანძილზე დაინერგა სამუხრუჭე ხუნდების ჩამოსხმის ახალი ტექნოლოგია, რამაც ერთიორად გაზარდა შრომის ნაყოფიერება და აღმოფხვრა წუნდებული პროდუქცია. ტექნიკურ სიახლეთა და ახალი ტექნოლოგიური პროცესების დანერგვის საქმეში გამოირჩევიან ინჟინერები ი. შავიძე, შ. არუთინოვი, ოსტატი გ. დედანაშვილი, მუშები ნ. ანისიმოვი, მ. მელაძე, გ. ლაგრაძე, შ. რაზმაძე და სხვები. შემოქმედებითი აზრის კარგი მიღწევაა ზეინკლების გ. გეჯაძის, თ. მახაროგლიძის და გამპრიალებელ ლ. ანდრიანოვის თაოსნობით დამზადებული ორპირი ხერხის საჭრელი უნივერსალური დაზგა-ავტომატის შექმნა.

ქარხნის კომუნისტები წარმოების ავანგარდში არიან და პირადი მაგალითით აღაფრთოვანებენ მთელს კოლექტივს ახალი შრომითი წარმატებებისათვის.

პარტიული ორგანიზაცია თავის უმნიშვნელოვანეს საქმედ თვლის განუწყვეტლივ განავითაროს რაციონალიზატორობა და გამომგონებლობა. ჩააყენოს მუშათა ტექნიკური აზრი შვიდწლედის სამსახურში. 4 თვის მანძილზე ქარხანაში დაინერგა 46 რაციონალიზატორული წინადადება, რამაც საწარმოს წლიურად 76.400 მანეთი ეკონომია მისცა.

შესამჩნევად გაძლიერდა თვალსაჩინო აგიტაცია. მოწინავეთა დაფებზე გამოკრულია რაციონალიზატორთა პორტრეტები, სპეციალურ დაფაზე კი აღნიშნულია თვითეულ საამქროში შემოსულ რაციონალიზატორულ წინადადებათა რაოდენობა, რამდენია მათგან დანერგილი და როგორია მათი ეკონომიური ეფექტი.

ქარხანაში შექმნილია და ნაყოფიერ მუშაობას ეწევიან მუდმივმოქმედი საწარმოო თათბირები, რომლებიც შესამჩნევ ძალად იქცნენ. პარტიული კომიტეტი ყოველმხრივ ეხმარება მათ.

ჩვენი ქარხნის პარტიული ორგანიზაცია სათავეში უდგას სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმისათვის მზადებას, სახავს გზებს ტექნიკური პროგრესის, წარმოების ავტომატიზაციისა და მექანიზაციის დასაჩქარებლად.

დ. აგუთიძე,
თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის პარტიული კომიტეტის მდივანი.

დაზოგილი ნედლეულით

სოხუმის ი. ბ. სტალინის სახელობის თამბაქოს ფაბრიკის მოწინავე ოსტატმა ნადეჟდა მეფოვამ ერთ თვეში 100 კილოგრამი თამბაქოს ეკონომია გაწია. დაზოგილი ნედლეულით დამატებით დამზადებულ იქნა 120 ათასი ცალი პაპიროსი. მეფოვა ერთ-ერთი საუკეთესო მუშაა ფაბრიკაში. **სურათზე:** მეფოვა მუშაობის დროს.

პირველ ადგილზე რესპუბლიკაში

ბიათურა. (საკ. კორ.). პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის წარმატებით შეხვედრისათვის თბილისელ ელმავალმშენებელთა მოწოდების საპასუხოდ ენერგიულად მუშაობს კალინინის სახელობის მაღაროს კოლექტივი. ამ დღეებში აქ მიიღეს ცნობა, რომ მაღაროს კოლექტივმა გაიმარჯვა სოციალისტურ შეჯიბრებაში, აპრილის შედეგების მიხედვით მას მიეკუთვნა რესპუბლიკაში პირველი ადგილი, საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის, საბჭოს და საქართველოს პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშა, აგრეთვე ფულადი პრემია.

მაღაროს კოლექტივმა უკეთ იმუშავა მაისში. ვადამდე შეასრულა ხუთი თვის დავალება და ივნისის ანგარიშში მეტალურგიას მიაწოდა ათასობით ტონა მარგანეცი. აღსანიშნავია, რომ ხუთ თვეში გეგმის ზევით დამზადებულია 18.000 ტონაზე მეტი პირველი ხარისხის მარგანეცი. ნაყოფიერად მუშაობენ ვ. სიკინჭალაშვილისა და გ. ზაბახიძის უბნები, ო. ლორიას კომუნისტური შრომის ცვლა, რომელიც ყოველდღიურ დავალებას 115-120 პროცენტით ასრულებს.

წარჩინებული მაღაროელები: სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი შ. აბრამიშვილი, პ. მეცხოვრიშვილი, ბ. გაფრინდაშვილი, ჯ. ჭიტაძე და სხვები ყოველდღიურ გეგმებს ორმაგად ანაღდებენ.

მაღაროს კოლექტივი იმისათვის იბრძვის, რომ სასაქონლო მარგანეცის გამოღების ნახევარი წლის გეგმა შეასრულოს 24 ივნისისათვის და ექვს თვეში დაზოგოს 170.000 მანეთი.

ჩვენი ქალაქების შვიდწლედი

ქართლის გული

მშვენიერია ქართლის გული — ქალაქი გორი დღეს. უკანასკნელ წლებში იგი დიდად გაიზარდა და კეთილმოწყობილი გახდა. მოასფალტებული განიერი ქუჩები, არქიტექტურულად ლამაზად გაფორმებული ორ და სამსართულიანი სახლები მომხიბვლელს ხდის ქალაქს.

ლიახვის გაღმა, იქ, სადაც ის მტკვარს ერთვის, რამდენიმე წლის წინათ ჭაობიანი ველი იყო. ახლა ამ ველზე აგებულია საფეიქრო კომბინატის ვეებერთელა კორპუსები, საცხოვრებელი სახლები...

ეს არის გორელ ფეიქართა დაბა, რომელსაც სამართლიანად „ახალ გორსაც“ უწოდებენ.

სტუმართმოყვარე ქალაქიც არის გორი. აქ ბევრი მნახველი მოდის დიდი მარქსისტ-ლენინელის ი. ბ. სტალინის სახლ-მუზეუმში.

ახალ შვიდწლედში გორი კიდევ უფრო თვალწარმტაცი და მომხიბლავი იქნება.

შვიდწლედში აშენდება ჩვენი ქალაქის უდიდესი საწარმოს — ბამბეულის კომბინატის მეორე რიგი, რომელიც ნაწილობრივ სექსპლოატაციოდ გადაეცემა 1964 წელს და მთლიანი სიმძლავრით იმუშავებს 1965 წელს. კომბინატის მეორე რიგის მწყობრში ჩადგომით მკვეთრად იზრდება გამოშვებული პროდუქცია. თუ 1958 წელს კომბინატმა გამოუშვა 172.890,6 ათასი მანეთის პროდუქცია, 1965 წელს გამოუშვებს 242.646,0 ათასი მანეთის საერთო ღირებულების პროდუქციას. აქედან ნართის წარმოება გაიზრდება 346,4 პროცენტით, ხამი ქოვილისა — 187,8 პროცენტით, მზა პროდუქციისა — 55,6 პროცენტით. ნატურალური გამოსახულებით 1965 წელს კომბინატმა უნდა გამოუშვას 69.100,0 ათასი მეტრი მზა ქოვილები. მნიშვნელოვანი ყურადღება მიეცევა ქსოვილების ასორტიმენტის გადიდებას და ხარისხის გაუმჯობესებას.

ბამბეულის კომბინატის მშენებლობაზე შვიდწლედში 154,5 მილიონი მანეთი დაიხარჯება.

საკონსერვო ქარხნის წარმოება 1965 წლისათვის 33,5 პროცენტით გაიზრდება. გამოშვებულ იქნება 33.600 ათასი პირობითი ქილა კონსერვი ნაცვლად შარშანდელი 25.170 ათასისა.

გორში ამჟამად შენდება ახალი ქარხანა, რომელიც გამოუშვებს ზუსტ ხელსაწყოებს მსუბუქი და კვების მრეწველობის პროცესების ავტომატიზაციისთვის.

განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა შვიდწლედში ადგილობრივი მრეწველობის განვითარებას, ძირითადად იმ საწარმოების გაფართოებას, რომლებიც ადგილობრივ ნედლეულზე მუშაობენ. ადგილობრივი მრეწველობის კომბინატის მიერ გამოშვებული საერთო პროდუქციის ღირებულება 1965 წელს მიაღწევს 54 მილიონ მანეთს ნაცვლად შარშანდელი 25 მილიონისა.

მნიშვნელოვნად გაფართოვდება ხაშენ მასალათა წარმოება, რაც მეტად ესჭიროება ქალაქის მოსახლეობას და სამშენებლო ორგანიზაციებს. აგურის წარმოება გაიზრდება 2 მილიონი ცალიდან 8 მილიონამდე, აშენდება კირის ახალი ქარხნები, გაფართოვდება კრამიტის ქარხანა. მისი გამოშვებული პროდუქცია ერთიორად გაიზრდება.

დიდი ღონისძიებები განხორციელდება ქალაქის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესებისათვის. 1960 წლისათვის დამთავრდება საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატის მშენებლობა საბჭოს ქუჩაზე, სადაც გაიხსნება კეთილმოწყობილი სხვადასხვა სახელოსნო. შვიდწლედში აშენდება აბანო-სამრეცხაო 26 კომფორის ქუჩაზე.

ბევრი რამ გაკეთდება სანიტარო მშენებლობის დარგში. მარტო წელს მშენებლობის პროცესშია 10 საცხოვრებელი სახლი 7.831 კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობით. მათ შორის წელს უნდა დამთავრდეს 8 სახლი 4.361 კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობით.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ინდივიდუალურ ბინათმშენებლობას მშრომელთა დანაზოგებისა და სახელმწიფოს მიერ გაცემული გრძელვადიანი სესხის ანგარიშზე. მარტო წელს 1.200 ათასი მანეთია გამოყოფილი ინდივიდუალური ბინათმშენებლებისათვის. საკუთარ ბინათმშენებლობაში შვიდწლედის მანძილზე უპირატესობა მიეცემა კოოპერირებულ და ამხანაგურ მშენებლობას.

ქალაქისა და რაიონის უკეთ მომსახურების მიზნით შენდება კავშირგაბმულობის სახლი. მშენებლობა გათვალისწინებულია დამთავრდეს წელს, მისი მოწყობილობა კი — 1960 წელს. კავშირგაბმულობის სახლში დაიდგმება 2.000-ნომრიანი ტელეფონის სადგური.

ქალაქის მოსახლეობის კულტურული მომსახურების გაუმჯობესების მიზნით 400 მაყურებლისათვის შენდება ახალი კინოთეატრი, რომლის მშენებლობა მალე დამთავრდება. ბიუჯეტის გადაჭარბების ანგარიშზე შენდება საკიდაო დარბაზი 1.400 მაყურებლისათვის. მისი დამთავრება გათვალისწინებულია წელს.

შვიდწლედში დიდი ყურადღება მიექცევა ქალაქის კეთილმოწყობასა და გამწვანებას. ამ საქმეზე შვიდი წლის მანძილზე დაიხარჯება 15 მილიონ მანეთამდე. 12.000 კვადრატულ მეტრ ფართობზე უკვე დამთავრდა ი. ბ. სტალინის სახლ-მუზეუმის ტერიტორიის კეთილმოწყობა. დიდი მასშტაბით იქნება გაშლილი ქალაქის ტერიტორიის გამწვანების სამუშაოები.

შარშან ჩვენი ქალაქის მშრომელები სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაებნენ მოსკოვის ოლქის ქალაქ ნოგინსკთან. გასული წლის ვალდებულებანი დიდი გადაჭარბებით შესრულდა. შეჯიბრება წელსაც გრძელდება.

ქალაქ გორის მშრომელები, პარტიის XXI ყრილობის ისტორიული გადწყვეტილებებით აღფრთოვანებულნი, თავდადებულად იმუშავებენ იმისათვის, რომ გრანდიოზული შვიდწლიანი გეგმა ვადამდე და დიდი გადაჭარბებით შეასრულონ.

გ. ზერეკიძე.

გორის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე.

* * *

სურათზე: გორი. ქალაქის ხედი.
ფოტომონტაჟი ს. ონანოვისა
(საქდესის ფოტოქრონიკა).

აკადემიკოს კორნელი კეკელიძის იუბილე

8 ივნისს თბილისის რუსთაველის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის დარბაზში გაიმართა საიუბილეო საზეიმო სხდომა, რომელიც მოიწვიეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიამ, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა და რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტმა.

საღამო შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა ნ. მუსხელიშვილმა.

მოხსენება „აკადემიკოს კორნელი კეკელიძის ცხოვრება და მეცნიერული მოღვაწეობა“ გააკეთა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა, პროფესორმა ა. ბარამიძემ.

საიუბილეო სადამოზე გამოჩენილ მეცნიერს მიესალმნენ: სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ე. ხარაძე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი რ. დვალი, საქართველოს მწერალთა კავშირის გამგის პირველი მოადგილე პოეტი ი. აბაშიძე, საქართველოს სსრ განათლების მინისტრი გ. ჯიბლაძე, საქართველოს სსრ კულტურის მინისტრი დ. ჩხეიძეშვილი, აზერბაიჯანის სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნიზამის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტის დოცენტი დ. ალიევი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი გ. წერეთელი, პოეტი-აკადემიკოსი გ. ლერნიძე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ა. შანიძე, მეცნიერის მშობლიური რაიონის წარმომადგენელი პედაგოგი ა. ნადირაძე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი პროფესორი ქ. ლომთათიძე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი პროფესორი ი. აბულაძე და სხვები. პოეტმა-აკადემიკოსმა ი. გრიშაშვილმა წაიკითხა იუბილარისადმი მიძღვნილი ლექსი. გამოქვეყნებულ იქნა მეცნიერთა, სხვადასხვა სამეცნიერო დაწესებულებათა, საზოგადოებრივ ორგანიზაციათა ათობით დეპეშა.

დასასრულ გამოვიდა იუბილარი, რომელმაც გულთბილი მადლობა გადოუხადა პარტიისა და მთავრობისადმი მისი მოღვაწეობის მაღალი შეფასებისათვის.

საღამო დამთავრდა დიდი კონცერტით, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს თბილისის სტუდენტთა თვითმოქმედმა კოლექტივებმა. (საქდესი).

გამომცემლობა „ცოდნა“ ამ დღეებში გამოაქვეყნა ქართულ ენაზე პირველად შექმნილი „ადამიანის ანატომიის ატლასი“, რომლის ავტორია ქართველ მორფოლოგთა წარმომადგენელი პროფ. **გ. თვალაძე** (წიგნის რედაქტორია პროფ. **დ. იოსელიანი**).

გიგლიოგრაფია

ადამიანის ანატომიის ატლასი ქართულ ენაზე

ადამიანის ანატომიის შესწავლაში, გარდა თეორიული საფუძვლების ცოდნისა, დიდ როლს ასრულებს თვალსაჩინობა. თვალსაჩინობის განსაკუთრებულ სახეს წარმოადგენს ანატომიური ატლასი, რომლის დახმარებითაც სტუდენტებს, ექიმებს, ფიზიკური კულტურის და სპორტის მუშაკებს, მხატვრებს, მოქანდაკეებს და სხვ. უადვილდებათ ადამიანის სხეულის რთულ აგებულებაში გარკვევა. დღემდე, საბჭოთა კავშირის ყველა მოძმე რესპუბლიკის, მათ შორის საქართველოს მოსწავლე ახალგაზრდობას უხდებათ რუსულ ენაზე გამოქვეყნებულ თანამემამულე და უცხოელი ავტორების ანატომიური ატლასებით სარგებლობა, რაც ერთგვარ სიძნელეებს ქმნის საგნის შეთვისების საქმეში. ამ მხრივ გ. თვალაძემ დიდი ეროვნული სამსახური გაგვიწია საკმაებით ორიგინალური, მეთოდოლოგიურად გამართლებული, ფუნქციური ანატომიის პრინციპებზე აგებული ადამიანის ანატომიის ატლასის გამოქვეყნებით.

როგორ უპასუხებს გამოქვეყნებული ნაშრომი საერთოდ თანამედროვე საბჭოთა მეცნიერების და კერძოდ პარტიის XXI ისტორიული ყრილობის გადწყვეტილებებს, შეიდწლიანი გეგმით მედიცინის მეცნიერებათა წინაშე დასახული ამოცანების მოთხოვნებს? საბჭოური მეცნიერების დამახასიათებელ თავისებურებას შეადგენს დიალექტიკური მატერიალიზმის პრინციპებზე დაყრდნობა, სწორედ ამ პრინციპებზე აქვს აგებული ავტორს თავისი ნაშრომი. იგი დღემდე არსებული ატლასებისაგან განსხვავებით მასალას ათავსებს არა სხეულის ამა თუ იმ მიდამოს შემადგენელი ნაწილების სტატიკური განხილვით, არამედ ყოველი ძვალი, ყოველი სასარი და კუნთი მოცემული აქვს დინამიკაში, ფუნქციასთან კავშირში.

ატლასის პირველ ნაწილში მოცემულია ძვლოვანი სისტემის შენების საერთო ცნობები, მოთავსებულია ჩონჩხის შემადგენელი ძვლები მიდამოების მიხედვით, რომელსაც თანდართული აქვს მისივე რენტგენოლოგიური სურათი, რათა ძვლის შინაგანი აგებულების შესწავლით ნათელი გახდეს მისი ფორმა და ფუნქცია. სურათთან მოთავსებულია შესაბამისი აღწერილობითი ტექსტი. იმ გვერდებზე, სადაც მოთავსებულია ისეთი ძვლების სურათები, რომელთა გარკვეული ნაწილი კანქვეშ ადვილად შეეგრძნობა, მოცემულია სხეულის შესატყვისი მიდამოს ფოტოსურათი, ხელით შესაგრძნობი წარმონაქმნების ჩვენებით, რასაც დიდი პრაქტიკული გამოყენებითი მნიშვნელობა აქვს. აღსანიშნავია ის გარემოება რომ ავტორის მიერ პირველად არის მოცემული ატლასში ანთროპომეტრიისა და კრანიომეტრიის საწარმოებლად საჭირო წერტილები, რომელთა ნათელი გამოხატულებაც დიდ სამსახურს გაუწევს ადამიანის ფიზიკური განვითარების შემსწავლელებს.

ატლასის მეორე ნაწილი შეეხება მოძღვრებას ძვალთა შეერთებებზე. განხილულია სინდესმო-ართროლოგიის საერთო ნაწილი, რომელშიც ტექსტი და სურათები ნათელყოფენ ძვალთა ყოველგვარ კავშირს. ნაჩვენებია სინართროზის და დიართროზის მაგალითები და სახსრების ფორმები. შემდეგში მოცემულია სხეულის ცალკეული მიდამოების ძვალთა შეერთებანი; ნაჩვენებია ყოველი ცალკეული სახსარი სამოძრაო ღერძებით, რაც ნათელ წარმოდგენას იძლევა ფორმისა და ფუნქციის ერთიანობაზე. ავტორის უდავო დამსახურებად უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ ატლასში, კერძოდ ძვალთა შეერთებების განხილვის დროს, გარდა სახსრის ჩვეულებრივი აღწერისა დიდი ადგილი დაუთმო სახსრის რენტგენანატომიას და მოგვცა ცოცხალი ადამიანის სახსრებში წარმოებულ მოძრაობათა ანატომიური ანალიზი. წარმოდგენილი ატლასის მეშვეობით შესაძლებელი გვიძლევია გავაცნოთ ამა თუ იმ სახსრის როგორც ანატომიურ აგებულებას, ისე იმ ანატომიურ ცვლილებებს, რომლებსაც ადგილი აქვს სახსრის ფუნქციონირების დროს. ამ გარემოებას დიდი დახმარების გაწევა შეეძლო პრაქტიკულ მედიცინაში მოღვაწეთა სპორტის ამა თუ იმ სახის შემსწავლელთათვის, გარდა ამისა, ყოველ სახსარში შესაძლებელი მოძრაობანი ნაჩვენებია სპეციალურად შერჩეულ სპორტსმენის მიერ შესრულებულ მოძრაობათა ფოტოანაბეჭდებზე. განსაკუთრებით ბევრი სიახლეა შეტანილი ატლასის მესამე ნაწილში, რომელიც შეეხება მოძღვრებას კუნთებზე. ყოველი კუნთი მოცემულია როგორც ტოპოგრაფიულ ურთიერთობაში, ისე განცალკევებულად, მისივე ფუნქციის ჩვენებით. ამ მიზნით სხეულის გარკვეული მიდამოს აღწერის შემდეგ მოცემულია აღნიშნული მიდამოს კუნთების მთელი სურათი, რის შემდეგაც ყოველი ცალკეული კუნთი ნაჩვენებია თანმიმდევრობით. მოცემული კუნთის გვერდით მოთავსებულია ამავე კუნთის დაწყებისა და მიმაგრების ადგილების მაჩვენებელი სურათი, რომლის გვერდითაც მოთავსებულია ფუნქციის მაჩვენებელი სქემატური სურათი შეკუმშული კუნთების სახელწოდების აღნიშვნით.

თანამედროვე ფუნქციური მორფოლოგია მკაფიო გამოხატულებას პოულობს ატლასის ამ ნაწილში. ავტორს, ცალკეული მიდამოს კუნთების აღწერის ბოლოს მოუთავსებია მათი მუშაობის შემაჯამებელი სქემა, რომელიც გვიჩვენებს, თუ რომელი კუნთის შეკუმშვით სრულდება ესა თუ ის მოძრაობა, რაც ძალიან უადვილებს შემსწავლელს ნათელი წარმოდგენა იქონიოს ცალკეული კუნთის ფუნქციაზე. ატლასის უკანასკნელ გვერდებზე მოთავსებულია რამდენიმე სურათი, სადაც ნაჩვენებია სხეულის კუნთები ამა თუ იმ სპორტული ვარჯიშის შესრულების დროს.

განსაკუთრებული ყურადღების ღირსია ის დიდი შრომატევადი სამუშაო, რომელიც ავტორს გაუწევია ქართულ და ლათინურ ენებზე საგნობრივი საძიებელის შედგენით, რაც, სამწუხაროდ, ძალიან იშვიათი მოვლენაა ჩვენში გამოქვეყნებული ნაშრომებისათვის. მისი არსებობა კი ისეთი დიდი მოცულობის ნაშრომში, როგორიც ჩვენს მიერ რეცენზირებული ატლასია, მკითხველს უადვილებს საჭირო საკითხის სწრაფად მოძებნას.

ატლასი მთავრდება პარიზის ანატომიური ნომენკლატურით, რომელიც დღეს საკალდებულო სახმარ ტერმინებად არის გამოცხადებული მთელ მსოფლიოში როგორც თეორიულ დარგში, ისე კლინიკურ დისციპლინებში მომუშავე სპეციალისტებისათვის. ავტორს მოჰყავს როგორც ლათინური, ისე მისი შესაბამისი ტერმინები ქართულ და რუსულ ენებზე, რომლებიც შეეხება სამოძრაო აპარატს და მოუყანილია ცალკეული სისტემების, მიდამოების და ამ მიდამოებში შემავალი ორგანოების ანატომიურ წარმოქმნათა აღნიშვნით. როგორც ძველი, ისე ახალი სახელწოდების ასეთი განლაგება ძალიან აადვილებს საჭირო ტერმინის სწრაფად მოძებნას.

ქართულ ენაზე პირველად შექმნილი და გამოქვეყნებული ატლასი თავისთავად დიდი მოვლენაა. იგი ქართული მაღალი კულტურის კიდევ ერთი დამადასტურებელი ფაქტია. ატლასი მთლიანად დამზადებული, დასტამბული და გამოცემულია საქართველოში და თავისი როგორც შინაგანი, ისე გარეგანი გაფორმებით კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს, მას. მკითხველი ხელში აიღებს ყველა იმათდამი მადლობის გრძნობით, ვისაც თავისი შრომა არ დაუზოგავს იგი დიდი და სასარგებლო წიგნის გამოსაცემად.

ისე როგორც ყოველი დიდი საქმის შესრულებას თან სდევს გარკვეული ნაკლი, ასევე წარმოდგენილ ატლასშიც მოიპოვება გარკვეული ხარვეზები, მაგრამ ეს უკანასკნელნი იმდენად მცირეა, რომ ასეთი დიდი მნიშვნელობის ნაშრომში ისინი კეთილით იჩრდილებიან და მათზე ყურადღების გამახვილება არა ღირსი ერთი უდაოოა! ქართულ ენაზე ანატომიური ატლასის შექმნით გ. თვალაძემ დიდი სამსახური გაუწია ქართველ სტუდენტობას, ექიმებს, ფიზიკური კულტურის და სპორტის მუშაკებს, მხატვრებსა და მოქანდაკეებს. მათ ჩვენი მომძე რესპუბლიკების კოლეგებს შორის პირველებმა მიიღეს მშობლიურ ენაზე დიდი ხნის ნანატრი კარგი სახელმძღვანელო. ამჟამად პროფ. გ. თვალაძე მუშაობს ატლასის მეორე ტომზე, რომელშიც შეავა მოძღვრება შიგნეულობაზე და გულსისხლძარღვებზე. ავტორს განზრახული აქვს მომდევნო მესამე ტომი დაამთავროს 1965 წლისათვის.

მაშინ, როდესაც საქართველოს საზოგადოებრიობამ ახლახან მიწას მიაბარა მორფოლოგიის და ანატომიიის ფუძემდებელი გამოჩენილი მეცნიერი ალ. ნათოშვილი, გ. თვალაძის მიერ გამოშვებული ანატომიის მშვენიერი ატლასი მოწმობს, რომ დასახელებული მეცნიერების საფუძვლები ჩვენში მტკიცე და ურყევია.

კ. ერისთავი,
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.

ავტომშენებელთა დელეგაცია ურალში

ჟუთაისი. (საკ. კორ.). რამდენიმე წელია გრძელდება ტრადიციული სოციალისტური შეჯიბრება ქუთაისის ს. ორჯონიკიძის სახელობისა და ურალის ი. ბ. სტალინის სახელობის საავტომობილო ქარხნების კოლექტივებს შორის. გულთბილი მეგობრული მიწერ-მოწერა, გამოცდილების გაზიარება, დელეგაციების ურთიერთგაცვლა ხელს უწყობს ორივე ქარხნის კოლექტივებს ახალი საწარმოო გამარჯვებები მოიპოვონ შვიდწლედის პირველი წლის დაკალებათა ვადამდე შესრულებისათვის ბრძოლაში.

ამ დღეებში ურალის ი. ბ. სტალინის სახელობის საავტომობილო ქარხანაში გაემგზავრა ქუთაისელ ავტომობილშენებელთა დელეგაცია, რომელსაც ქარხნის მრავალტრაკიანი გაზეთის „ლენინელის“ რედაქტორი ამხ. მ. ნინოა ხელმძღვანელობს. დელეგაციაში შედიან ქარხნის კომკავშირის კომიტეტის მდივანი დ. მონიავა, ავტომატების საამქროს უფროსი ბ. გურესაშვილი, № 2 სამსხმელო საამქროს უფროსი ზ. მარდალეიშვილი, სამოდელო საამქროს პროფკავშირული კომიტეტის თავმჯდომარე შ. ესაძე.

დელეგაცია ურალელ თანამოსაქმეებთან ერთად შეამოწმებს ორივე ქარხნის კოლექტივებს შორის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების შედეგებს, გაფორმებს შეჯიბრების ხელშეკრულებას მიმდინარე წლისათვის.

მეკითხველთა წერილებიდან

ივრის ხეობაში

ივრის ხეობაში მწვანე სამოსელსა და ბაღებშია ჩაფლული რაიონული ცენტრი — თიანეთი. იგი ყოველწლიურად ფართოვდება. ჩნდება ახალი უბნები. ლამაზდება მისი ქუჩები, იგება მშვენიერი საცხოვრებელი ბინები და ადმინისტრაციული შენობები. ქუჩებში დაგებულია ასფალტი. შრომელ ე ნ ა კ ა ც ი ა ს ა და ვ ი ნ ო ს ბ ე ნ ე ბ ი.

ბევრ ადგილას ასფალტი ჯერ ადრეა. ეს ეხება ბაზრის ბაღის, ბ. ალიევის ქუჩის, ბ. ალიევის ბაღის, ბ. ალიევის ბაღის, ბ. ალიევის ბაღ

ყოველი მხრიდან

ფესტივალის საერთაშორისო ჟიურიმ მუშაობა დაამთავრა

ვენა, 8 ივნისი. (საკდესი). ვენაში მუშაობა დაამთავრა ახალგაზრდობისა და სტუდენტთა VII მსოფლიო ფესტივალის საერთაშორისო ჟიურიმ, რომელმაც განიხილა კონკურსზე გამოგზავნილი მუსიკალური ნაწარმოებნი.

ჟიურიმ განიხილა 18 ქვეყნიდან ფესტივალის კონკურსზე გამოგზავნილი 117 მუსიკალური ნაწარმოები. ჯგუფში „ფესტივალის სიმღერები" სამი პირველი პრემია მიეკუთვნათ ავსტრიელ კომპოზიტორს მარსელ რუბინს სიმღერისათვის „მსოფლიოს ახალგაზრდობა", საბჭოთა კომპოზიტორს ა. ხოლმინოვს სიმღერისათვის „მეგობრობის სიმღერა", რუმინელ კომპოზიტორს სერგიუ სარჭისოვს სიმღერისათვის „მშვიდობის მომღერლები".

კონკურსის ჯგუფში „ლირიკული სიმღერები" პირველი პრემია მიეკუთვნა საბჭოთა კომპოზიტორს ა. ფლიაროკოვსკის სიმღერისათვის „შენ, ო, სამშობლოვ!".

ჯგუფში „კანტატები" პირველი პრემია მიიღო ჩინელმა კომპოზიტორმა ვანგ კიუ-ტანგმა კანტატისათვის „ბიდნიერი მდინარის ნაპირებიდან".

ჯგუფში „საცეკვაო მუსიკა" პირველი პრემია მიეკუთვნა დალისტნელ კომპოზიტორს კაფლაევს, მეორე პრემია — ესტონელ კომპოზიტორს იურისალს.

„ადენაუერმა სათამაშოდ გაიხადა დემოკრატია და კონსტიტუცია"

ბონი, 9 ივნისი. (საკდესი). როგორც დპა საგანგებო იუწყება, გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის პრესის სამსახური, კომენტარს უკეთებს რა ადენაუერის ფარს კენიგში იყოს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტობაზე და მის გადაწყვეტილებას დარჩეს კანცლერის პოსტზე, მკაცრად გმობს მის ამ ნაბიჯს.

გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის პრესის სამსახური უსაყვედურებს ადენაუერს, რომ იგი შეპყრობილია ძალაუფლების უსაზღვრო წყურვილით, დანაშაულებრივი მედიდურობით და უგულებელყოფს კონსტიტუციას. „თუ ისეთი ადამიანი, როგორიც არის ადენაუერი, — აღნიშნავს გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის პრესის სამსახური,— კლავ ძირს უთხრის ნდობას და სჩადის საბედისწერო შეცდომას, აღგვიებს რა თავის პერსონას გერმანელ ხალხთან, ეს ეხება ჩვენი დემოკრატიისა და ჩვენი მომავლის თვით საფუძვლებს".

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტის პოსტი, განაგრძობს გერმანიის სოციალ - დემოკრატიული პარტიის პრესის სამსახური, კარგავს თავის საპატიო მნიშვნელობას „ჩარჩიული მეთოდების" შედეგად, რომელებსაც კანცლერი იყენებს. ის, თუ რაგორ გაიხადა ადენაუერმა სათამაშოდ დემოკრატია და კონსტიტუცია, მოგვაგონებს დანგრეული პარლამენტის მიწისძვრის მოქმედებას. ის, ვინც ისე ეპყრობა ადამიანებსა და პარტიებს, როგორც ადენაუერი, ამტკიცებს მხოლოდ, რომ მას არა აქვს შინაგანი კავშირი ცხოვრების დემოკრატიულ წესთან და მართვის დემოკრატიულ ფორმასთან...



ნახატი ი. ქოქიაშვილისა.

საბჭოთა პავილიონის დღე პოზნანის საერთაშორისო ბაზრობაზე

პოზნანი, 8 ივნისი. (საკდესის კორ.). დღეს პოზნანის საერთაშორისო ბაზრობაზე საბჭოთა პავილიონის დღეა. დილიდან დახურვამდე არ შეწყვეტილა მნახველთა ნაკადი პავილიონის შენობაში. მაგრამ განსაკუთრებით ბევრი ხალხი იყო აქ დღეს, საღამოს, როცა დამთავრდა სამუშაო დღე ქალაქის სამრეწველო საწარმოებსა და დაწესებულებებში.

პავილიონში გამოფენილია ლითონსაჭრელი ჩარხები, სასოფლო-სამეურნეო მანქანები, სატვირთო ავტომობილები, მოსიარულე ექსკავატორისა და ჰიდროგენერატორის მაკეტები. დღეს მათ სანახავად მოვიდნენ პოზნანის მანქანათმაშენებელი ქარხნის „გ. ცეგელსკის", სასოფლო-სამეურნეო მანქანების ქარხნების, ლითონის ნაკეთობათა ქარხნებისა და ქალაქის სხვა სამრეწველო საწარმოთა მუშები.

მნახველნი დიდ ინტერესს იჩენენ ახალი მსუბუქი ავტომობილების „ჩაიკის", „ზილ-111", სატვირთო ავტომანქანა „ზილ-157", პროგრამულ სამართვიანი საფრეზერო ჩარხის, სახარატო ჩარხავტომატის, საზომი აპარატურისადმი, რაც უხვად არის წარმოდგენილი გამოფენაზე.

მნახველები დიდხანს ჩერდებიან საბჭოთა ტელევიზორებთან. საყოველთაო ინტერესს იწვევს ტელევიზორი „კრისტალი-104"

მაგრამ, შეიძლება ითქვას, ყველაზე პოპულარული სსრ კავშირის ექსპოზიციაში არის დედამიწის საბჭოთა სამი ხელოვნური თანამგზავრის მოდელები. საბჭოთა პავილიონის დათვალიერების შემდეგ ბევრი მნახველი ტოვებს ჩანაწერს შთაბეჭდილებათა წიგნში. ისინი აღტაცებას გამოთქვამენ სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის წარმატებათა გამო, საბჭოთა ხალხის მიღწევების გამო კომუნიზმის მშენებლობაში.

შთაბეჭდილებათა წიგნის პირველ გვერდზე არის ჩანაწერი:

„გულწრფელად მივესალმები საბჭოთა მრეწველობის საუცხოო ექსპოზიციას, ვუსურვებ წარმატებას სავაჭრო გარიგებათა დადებაში. დარწმუნებული ვარ, რომ საბჭოთა კავშირის მონაწილეობა პოზნანის საერთაშორისო ბაზრობაში ხელს უწყობს იმას, რომ პოლონელი საზოგადოებრიობა უკეთ გაეცნოს საბჭოთა კავშირის უდიდეს მიღწევებს და გაღრმავდეს პოლონეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობა და თანამშრომლობა.

ი. ცირანკევიჩი"

დღეს საბჭოთა პავილიონის დღის გამო სსრ კავშირის სავაჭრო წარმომადგენელმა პოლონეთში ა. ა. ტრუსოვმა დარბაზობა გამართა. დარბაზობაზე იყვნენ საბჭოთა მთავრობის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსთან არსებული დაგეგმვის კომისიის თავმჯდომარე ს. ენდრიხოვსკი, პოლონეთის მთავრობის წევრები, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის, ჩეხოსლოვაკიის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობათა დელეგაციები და სხვები.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის, სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის ა. ნ. კოსიგინის მიწვევით დარბაზობაზე იყო პოზნანის მანქანათმაშენებელი ქარხნის „გ. ცეგელსკის" მუშათა და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა დიდი ჯგუფი, ა. ნ. კოსიგინი და საბჭოთა მთავრობის დელეგაციის წევრები დღეს ეწვივნენ ამ სამრეწველო საწარმოს, დაათვალიერეს მისი საწარმოო საამქროები, გაეცნენ მზა პროდუქციას.

პოზნანის 28-ე საერთაშორისო ბაზრობა გაგრძელდება 21 ივნისამდე.

ა. ა. გრომიკოს შეხვედრა ს. ლოიდთან

ჟენევა, 8 ივნისი. (საკდესის სპეც. კორ.). დღეს დილით სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო ინგლისის დელეგაციის რეზიდენციაში შეხვდა ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრს ს. ლოიდს.

ორი მინისტრის საუბარი შეეხებოდა ატომგულის იარაღის გამოცდის შეწყვეტის საკითხს. საუბარში მონაწილეობა მიიღეს საბჭოთა კავშირის მხრივ ს. კ. ცარაპკინმა და ი. ა. მალიკმა, ინგლისის მხრივ — დ. ორმსბი-გორმა და მ. რაიტმა.

საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრა

ჟენევა, 8 ივნისი. (საკდესის სპეც. კორ.). დღეს საბჭოთა დელეგაციის რეზიდენციაში მოხდა საგარეო საქმეთა მინისტრების ა. ა. გრომიკოს, კ. ჰერტერის, ს. ლოიდის, მ. კეენ დე მიურვილის ახალი არაოფიციალური შეხვედრა.

იმსჯელეს საკითხებზე, რომლებიც წარდგენილია საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირის განსახილველად.

შეთანხმდნენ, რომ 9 ივნისს მოხდეს საგარეო საქმეთა მინისტრების არაოფიციალური შეხვედრა.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის პრესის ყურადღების ცენტრში

პეკინი, 8 ივნისი. (საკდესი). როგორც სინხუას საგაზეთო იუწყება, დღეს ჩინეთის ყველა ცენტრალური გაზეთი თვალსაჩინო ადგილზე დიდი სათაურებით აქვეყნებს ნ. ს. ხრუშჩოვის პასუხს უნგრეთის დეპეშათა სააგენტოსა და გაზეთ „ნეფსაბადშაგის" რედაქციის კითხვებზე.

გაზეთი „ჟენმინ ჟიბაო" სათაურში აღნიშნავს: „ახლა მშვიდობის ძალები ძლიერ გაიზარდნენ, ისინი უფრო ძლიერი გახდნენ და შეიძლიათ წინააღმდეგობა გაუწიონ იმპერიალისტ აგრესორებს". გაზეთი განსაკუთრებით ხაზს უსვამს იმას, რომ საბჭოთა კავშირი არავითარი ზეგავლენით არ დადებს შეთანხმებას, რომელიც სამუდამოდ ამკიდრებდეს საოკუპაციო რეჟიმს დასავლეთ ბერლინში.

გაზეთი „გუანმინ ჟიბაო" გამოყოფს ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვებს იმის შესახებ, რომ საგარეო საქმეთა მინისტრების თათბიერზე მიღწეულ უნდა იქნას შეთანხმება გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების დადების საკითხზე.

„რათა გადაიჭრას მომწიფებული საერთაშორისო საკითხები, — აღნიშნავს ამ ცნობის სათაურში გაზეთი „გუნდენ ჟიბაო", — საჭიროა „მოწიფულ იქნას მთავრობათა მეთაურების თათბირი".

მ. ტალმა გაიმარჯვა ციურიხის ტურნირში

ციურიხი, 8 ივნისი. (საკდესის სპეც. კორ.). დღეს დილით საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირზე გათამაშდა უკანასკნელი ტურის გადადებული პარტიები. განსაკუთრებით დიდმნიშვნელოვანი იყო კუპერის (შვეიცარია) და გლიგორიჩის (იუგოსლავია) შეხვედრა. კუპერი ზუსტად იცავდა თავს და 55-ე სვლაზე ყაიმს მიაღწია. ტაში კუპერის მიმართ ამავე დროს ნიშნავდა იმას, რომ საზოგადოება მიესალმა საბჭოთა გროსმაისტერ მ. ტალს, რომელიც გლიგორიჩის ყაიმის მეოხებით გამარჯვებული გამოვიდა ტურნირში. დასავლეთ გერმანიის გროსმაისტერმა უნციკერმა დაამარცხა ავსტრიელი ოსტატი დიუკმატინი, ხოლო შვეიცარიელმა კელერმა — თავისი თანამემამულე ვალტერი. უკანასკნელი დამთავრდა საბჭოთა გროსმაისტერ კერესისა და გროსმაისტერ ოლოფსონის (ისლანდია) შეხვედრა. ეს მწვავე შეტაკება ყაიმით დამთავრდა.

ტურნირი დამთავრებულია. დიდი სპორტული და შემოქმედებითი წარმატება მოიპოვა ახალგაზრდა საბჭოთა გროსმაისტერმა მ. ტალმა, რომელმაც მოაგროვა 11,5 ქულა 15 შესაძლებელში და ამ დიდ ტურნირში მოიპოვა პირველი პრიზი, აგრეთვე სპეციალური პრიზი ყველაზე მეტი — 10 გამარჯვებისათვის.

მეორე ადგილი დაიკავა იუგოსლავიის ჩემპიონმა გლიგორიჩმა — 11 ქულა. მესამე და მეოთხე ადგილები გაიყვეს საბჭოთა გროსმაისტერმა კერესმა და ამერიკის შეერთებული შტატების 16 წლის ჩემპიონმა ფიშერმა, რომელმაც გვიჩვენა მშვენიერი, მომწიფებული თამაში. მეხუთე და მეექვსე ადგილებზე გამოვიდნენ დანიელი გროსმაისტერი ლარსენი და გერმანელი გროსმაისტერი უნციკერი — 9,5 ქულა თვითეულს.

დღეს საღამოს ტურნირი საზეიმოდ დაიხურება.

უცხოეთის ქრონიკა

◆ 8 ივნისს ჟენევის ერთა სახახლეში ორი კვირის შესვენების შემდეგ მუშაობა განაახლა სამი სახელმწიფოს თათბირმა ატომური იარაღის გამოცდის შეწყვეტის შესახებ.

როგორც ცნობილი გახდა, დღევანდელმა სხდომამ განიხილა საკითხი იმის შესახებ, რომ შეიქმნას ექსპერტების ჯგუფი დიდ სიმაღლეებზე ატომური აფეთქების აღმოჩენის საკითხზე. საბჭოთა დელეგაციამ წარადგინა დაფორმულები ექსპერტთა ამოცანისა დიდ სიმაღლეზე აფეთქების აღმოჩენის შესახებ. ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციამ თავის მხრივ საკუთარი პროექტი შეიტანა.

◆ ქაბული, 7 ივნისს რავაშის აეროდრომზე, რომლის რეკონსტრუქციაშიც ავღანეთს ტექნიკურ დახმარებას გაუწევს საბჭოთა კავშირი, პრემიერ-მინისტრმა მუჰამედ დაუდმა საძირკველი ჩაუყარა სამოქალაქო ავიაციის სამმართველოს სასწავლო ცენტრის მომავალ შენობას. საძირკვლის ჩაყრის დროს პრემიერ-მინისტრმა გამოთქვა რწმენა, რომ ავღანეთში სწრაფად განვითარდება ავიაცია და საჰაერო მიმოსვლა.

განზრახულია სასწავლო ცენტრის მშენებლობა დამთავრდეს 9 თვეში.

◆ ალჟირში გრძელდება სისხლსამღვრელი ბრძოლები საფრანგეთის ჯარებსა და ალჟირის ეროვნულ-განმათავისუფლებელი არმიის რაზმებს შორის. ფრანს პრესის სააგენტოს ცნობით, ორი დღის ბრძოლის შედეგად, რომელიც მიმდინარეობდა მედეას რაიონში, მოკლულია 74 ალჟირელი აჯანყებული. ორანის დეპარტამენტში ალჟირელ პატრიოტებს, როგორც საფრანგეთის სამხედრო ხელისუფალნი ამტკიცებენ, მოუკლეს 94 კაცი. საფრანგეთის ჯარების დანაკლისის შესახებ, როგორც ყოველთვის, არაფერს იუწყებიან.



„გამარჯვება, ზაფხულო!"

ასე დაარქვეს ზეიმს, რომელიც გასულ კვირადღეს გაიმართა ქალაქ რუსთაველში. ფართო მოასფალტებული ქუჩები, ამწვანებული ბალები, სკვერები და ხეივნები დილიდანვე ხალხით აივსო. ისმის საამო სიმღერები, აკორდეონისა და გიტარის ხმები, დიდი და პატარა განუწყვეტელ ნაკადად მიედინება კულტურის კერებისაკენ.

განუწყვეტელ ნაკადად მიემართებიან მშრომელები რუსთავის ტბისაკენ. აქ მათ განკარგულებაში იყო მრავალი ნავი და კატერი. ამ დღეს მტკვარზე ნავებით გაისეირნა ათასამდე კაცმა. საღამოს მოედნებზე გაიმართა ხალხური ცეკვები, თამაში და სიმღერა.

სურათზე: რუსთავი. კულტურისა და დასვენების პარკის ერთ-ერთი კუთხე.

ფოტო ო. არობელიძისა.

საერთაშორისო შეხვედრა თბილისში

გუშინ თბილისის კიროვის სახელობის პარკის კალათბურთის სტადიონზე გაიმართა საერთაშორისო შეხვედრა კალათბურთში ბუქარესტისა და თბილისის „დინამოს" ეაფთა გუნდებს შორის.

ასპარეზობას წინ უძღოდა საზეიმო ცერემონიალი.

შეჯიბრების პირველი ნახევარი ხასიათდებოდა საინტერესო ბრძოლით და დამთავრდა თბილისელთა გამარჯვებით 40 : 25. მეორე ტაიმში თბილისელებმა შეინარჩუნეს ინიციატივა და გაიმარჯვეს საერთო ანგარიშით 74 : 51.

საქართველოს კალათბურთელები რუმინეთში

საქართველოს კალათბურთელ ქალთა ნაკრები გუნდი, რომელიც ძირითადად დაკომპლექტებულია ს. მ. კიროვის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სპორტსმენებით, სტუმრად იმყოფება რუმინეთის სახალხო რესპუბლიკაში. ჩვენი რესპუბლიკის კალათბურთელები ადგილობრივ გუნდებთან რამდენიმე საერთაშორისო ამხანაგურ შეხვედრას გამართავენ.

პირველი მატჩი რუმინეთის სახალხო რესპუბლიკისა და საქართველოს ნაკრებ გუნდებს შორის ხასიათდებოდა შეუპოვარი ბრძოლით და დამთავრდა საქართველოს ნაკრები გუნდის გამარჯვებით ანგარიშით 42 : 41.

სსრ კავშირის პირველობაზე

„ა" კლასი

დონის როსტოვი. 8 ივნისი. მოსკოვის ტორპედოელებმა საკავშირო ჩემპიონატის მეოცე ტურის მატჩი ჩაატარეს დონის როსტოვში ადგილობრივი სამხედრო საოლქო სასპორტო კლუბის წინააღმდეგ. მატჩის შედეგია 3 : 1 არმიელ ფეხბურთელთა სასარგებლოდ.

კუიბიშევი. 8 ივნისი. აქ საკავშირო პირველობის მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ ლენინგრადის „ზენიტისა" და კუიბიშევის „კრილია სოვეტოვის" ფეხბურთელთა კოლექტივები. კუიბიშეველებმა მატჩი მაღალ სპორტულ დონეზე ჩაატარეს და გაიმარჯვეს ანგარიშით 2 : 0.

უძლიერესთა შეხვედრები

თბილისის კორტებზე რამდენიმე დღეა გრძელდება უძლიერესთა შეჯიბრება ჩოგბურთში. საქართველოსა და სსრ კავშირის ხალხთა მეორე სპარტაკიადის წინ ეს ასპარეზობა ჩვენი რესპუბლიკის ჩოგბურთელთა ძალების შემოწმებასა და შესანიშნავ წვრთნას წარმოადგენს.

წარმატებით ჩაატარა შეჯიბრება ქალთა შორის თბილისელმა ფ. რიაზანოვამ, რომელმაც ფინალში ყველა შეხვედრა მოიგო და პირველი ადგილი დაიკავა. ქალთა წყვილებში უძლიერესები იყვნენ ვ. ფილიპოვა და მ. გუბინა, ხოლო ვაჟთა წყვილებში — ს. ანდრეევი და რ. ანისიმოვი.

ა. ლ. იაკობაშვილი

ხანმოკლე და მძიმე ავადმყოფობის შედეგად გარდაიცვალა თბილისის ი. ვ. სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი ანტონ ლეონტის-ძე იაკობაშვილი.

ა. იაკობაშვილი დაიბადა 1902 წელს სარჩერის რაიონის სოფ. ჩიხაში. ა. იაკობაშვილი ჯერ კიდევ 16 წლის ასაკში ჩაება რევოლუციურ მოძრაობაში. 1918 წელს იგი შედის კომკავშირის რიგებში და წითელ პარტიზანთა სახოგადოებაში. რევოლუციურ მოძრაობაში მონაწილეობისათვის იგი არაერთხელ ყოფილა დაპატიმრებული. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ ა. იაკობაშვილს ირჩევენ საქართველოს რევკომის პრეზიდიუმის წევრად. შემდგომ იგი არჩეულ იქნა ამიერკავკასიის საფინანსო კომისიის წევრად.

1928 წელს აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტმა ა. იაკობაშვილი გაგზავნა თურქეთში საშეცნიერო მივლინებით, ხოლო 1929 წელს იგი დატოვებულ იქნა იქვე სამუშაოდ სავაჭრო წარმომადგენლობაში.

1933-34 წელს ა. იაკობაშვილი იგზავნება საბერძნეთში საბჭოთა დელეგაციის წევრად სავაჭრო ხელშეკრულების დასადებად, საზღვარგარეთიდან დაბრუნების შემდეგ კი ინიშნება საერთაშორისო ლენინურ სკოლაში რომანული სექციის ხელმძღვანელად და დოცენტად.

1935 წელს ა. იაკობაშვილი ჩამოვიდა საქართველოში და დაინიშნა „გაზეთ „კომუნისტის" რედაქტორის პირველ მოადგილედ და ამიერკავკასიის ზოოვეტერინარული ინსტიტუტის პოლიტიკური ეკონომიისა და დიალექტიკური ბატერიალიზმის გაერთიანებული კათედრის გამგედ.

1937 წელს ა. იაკობაშვილს მიენიჭა პროფესორის წოდება და ამ დღიდან იგი ეწევა პედაგოგიურ მუშაობას სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში. უკანასკნელად იგი იყო თბილისის ი. ვ. სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფინანსებისა და კრედიტის კათედრის პროფესორად.

ა. იაკობაშვილი ავტორია მთელი რიგი სამეცნიერო შრომებისა. ნაყოფიერ სამეცნიერო და პედაგოგიურ საქმიანობას იგი ეწეოდა სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე.

ა. ლ. იაკობაშვილის ნათელი ხსოვნა დარჩება მისი ამხანაგების გულში.

ამხანაგების ჯგუფი.

დღეს 12 საათზე მწერალთა სასახლეში შედგება საქართველოს საბჭოთა მწერლების საქალაქო კრება.

მოხსენებას თემაზე „სსრ კავშირის მწერალთა მესამე ყრილობის შედეგები და ჩვენი ამოცანები" გააკეთებს საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის პირველი მდივანი ირაკლი აბაშიძე.

რედაქტორის მოადგილე
დ. სტურუა.

რადიო

10 ივნისი

პირველი პროგრამით

11.00 — გადაცემა: „ლაპარაკობს ბათუმი", 11.15 — ტანსლაცია მოსკოვიდან, 12.15 — ქართული რომანსები, 12.45 — საგუნდო სიმღერები, 17.20 — ვ. გოკიელი. ორი სორკესტრო სიუიტა, ასრულებს საქართველოს რადიოს და ტელევიზიის სიმფონიური ორკესტრი. დირიჟორი ჯ. გოკიელი, 17.40 — გადაცემა მოსწავლეთათვის. ნ. არტიუხოვას მოთხრობა „დიდი არყისხე", 18.05 — ს. ცინცაძის სიმღერები, 18.45 — პ. ამირანაშვილის კონცერტი, 19.15 — კონცერტი რადიომსმენელთა დაკვეთით, 19.45 — „საწარმოთა ხელმძღვანელები მოგვითხრობენ", 20.20 — გადაცემა ახალგაზრდობისათვის: „შრომასა და სწავლაში", 20.35 — მუსიკა კინოფილმებიდან. 21.10 — საუბარი: „ბრძოლა ტექნიკური პროგრესისათვის მრეწველობასა და მშენებლობაში" (მიკროფონთან საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მრეწველობისა და ტრანსპორტის განყოფილების გამგე ერ. ჯაფარიძე). 21.25 — რადიოდადგმა „მოცარტი" (II ნაწილი).

მეორე პროგრამით

21.25 — საუბარი: „მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლება და მშრომელთა ანაბრების ზრდა", 21.40 — ჩაიკოვსკის საფორტეპიანო ტრიო, 22.25 — საბჭოთა კავშირის ხალხთა სიმღერები.

თეატრი

10 ივნისი

ოპერისა და ბალეტის — ოტელო (მე-16 აბონემენტის მე-9 წარმოდგენა), **რუსთაველის** სახელობის — ყვარყვარე თუთაბერი, **მარჯანიშვილის** სახელობის — მუმლი მუხასა, **გრიბოედოვის** სახელობის — ქვის ბუდე, **სანკულტურის** — ერთი შეცდომის შედეგი.

• • •

რუსთაველის სახელობის, **ამირანი** (საზამთრო), **ოქტომბერი** (საზამთრო), **ისანი** (საზამთრო), **საქართველო** (წითელი დარბაზი), **კიროვის** სახელობის **პარკი** — კოდრების ატამანი, **ამირანი** (საზაფხულო), **26 კომისრის** სახელობის (მეორე დარბაზი), **ი. ჭავჭავაძის** სახელობის **კლუბი**, **ფილარმონიის ბაღი** — მისი დიდი გული, **სპარტაკი**, **კომკავშირელი**, **პლეხანოვის** სახელობის **კლუბი** (საზამთრო), **ვაკის პარკი**, **კომუნარების ბაღი** — წარსული ზაფხული, **ისანი** (საზაფხულო), **თბილისი**, **26 კომისრის** სახელობის (პირველი დარბაზი), **კოლხიდა** (საზამთრო), **პლეხანოვის** სახელობის **კლუბი** (საზაფხულო), **ოქტომბრის** რაიონის (საზაფხულო) — შავი ბატალიონი, **26 კომისრის** სახელობის (საზაფხულო), **კოლმეურნე** — მაია წყნეთელი, **საქართველო** (მწვანე დარბაზი), **გორკის** სახელობის **კულტურის** სახლი (საზამთრო), **ძერჟინსკის** სახელობის (საზამთრო), **ორჯონიკიძის** სახელობის **კულტურისა** და **დასვენების ცენტრალური პარკი** — ისანი იცნობდნენ ერთმანეთს, **საქართველო** (საზაფხულო), **დიდუბე** (საზაფხულო), **თანამგზავრი** — მაისის ვარსკვლავები.

სკკპ XXI ყრილობა რევიზიონიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ

(დასასრული)

თვითდინებით, სტიქიურად, „საშუალო კლასების" მიერ ბურჟუაზიისა და პროლეტარიატის ჩაყლაპვის გზით და ამ საფუძველზე აღმოცენდება „საშუალო კლასის საზოგადოება".

ამერიკელი რევიზიონისტი გეიტსი ქადაგებს, რომ მარქსიზმ-ლენინიზმი მიუღებელია ამერიკული სინამდვილისათვის. იგი უნდა შეიცვალოს ახალი „თეორიით", რომლის მთავარი დებულებები უნდა იყოს: სოციალიზმში მშვიდობიანი, ევოლუციური გადასვლა კლასობრივი ბრძოლის გაუმეჯოვებლად და პროლეტარიატის დიქტატურის დაუმყარებლად.

კანადელი რევიზიონისტები ამტკიცებენ, რომ კანადისათვის სიტყვა „პროლეტარიატის დიქტატურა" უცხო და გაუგებარია, რომ პროლეტარიატმა არ უნდა დაამყაროს თავისი დიქტატურა, არამედ „გაინაწილოს ძალაუფლება სხვა კლასებთან, მათ შორის ბურჟუაზიასთან, და არ არის აუცილებელი, რომ ასეთი ხელისუფლება ანტიკაპიტალისტური იყოს. კანადელი რევიზიონისტი ს. სმიტი სტატიაში „ძირითადი საკითხების შესახებ" (1957, V) აღნიშნავდა, რომ დიქტატურა ნიშნავს მთავრობას, რომელიც მართავს ძალის გამოყენებით, არ არის შეზღუდული კანონით, იწვევს პიროვნების კულტს და მასთან დაკავშირებულ მანკიერ პრაქტიკას(?!).

იტალიელი ჯოლიტის აზრით აუცილებელია გადაისინჯოს ლენინური თეორია პროლეტარიატის მიერ ძალაუფლების დაპყრობის შესახებ. დიქტატურა საჭიროა მხოლოდ ეკონომიურად ჩამორჩენილი ქვეყნებისათვის. საწარმოო ძალების განვითარება, — ამბობს იგი, — სტიქიურად გამოიწვევს კაპიტალიზმის სოციალიზმად გადაქცევას.

თანამედროვე რევიზიონისტები უარყოფენ აგრეთვე პარტიის ხელმძღვანელ როლს. მარქსიზმ-ლენინიზმი გვასწავლის და ამას ადასტურებს სსრ კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების გამოცდილება, რომ მხოლოდ კომუნისტურ პარტიას შეუძლია წინ წაუძღვეს მუშათა კლასს, შექმნას მუშათა და გლეხთა ურღვევი კავშირი და მიიყვანოს ხალხთა მასები კაპიტალიზმზე გამარჯვებამდე. კომუნისტურმა პარტიამ რომ ეს როლი განახორციელოს, იგი უნდა იყოს კარგად ორგანიზებული, მოწინავე რევოლუციური თეორიით შეიარაღებული, ჰქონდეს რკინისებური დისციპლინა, იცავდეს პარტიული ცხოვრების ლენინურ ნორმებს. დღეს, როცა მუშათა კლასს წინაშე დგას მშვიდობის შენარჩუნების, სოციალური პროგრესის უზრუნველყოფის ამოცანები, კომუნისტური და მუშათა პარტიების როლი კიდევ უფრო იზრდება.

უარყოფენ რა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელ როლს მუშათა მოძრაობასა და სოციალიზმის შენებლობაში, რევიზიონისტები ამით ახდენენ მუშათა კლასის განიარაღებას და იმპერიალისტური ბურჟუაზიის სასარგებლო საქმეს აკეთებენ.

ამერიკელი რევიზიონისტი გეიტსი საერთოდ მოითხოვს კომუნისტური პარტიის ლიკვიდაციას. მისი აზრით პარტია საჭირო იყო რევოლუციური სიტუაციის პირობებში, ახლა კი დადგა ევოლუციური განვითარების პერიოდი, ამიტომ მუშათა კლასს ესაჭიროება სხვაგვარი ორგანიზაცია — პოლიტიკური მოქმედების უპარტიო ასოციაცია. ამავე აზრს იცავს მეორე ამერიკელი რევიზიონისტი — უილიამ ნორმანი.

ინგლისელმა რევიზიონისტებმა (პ. კადოგანი, ვ. ჰილი, მ. მაკიუენი) ინგლისის კომპარტიის XXV საგანგებო ყრილობაზე მოითხოვეს დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპების გადასინჯვა, რკინისებური დისციპლინის შესუსტება, იმის დადგენა, რომ უმცირესობა არ დაექვემდებაროს უმრავლესობის გადაწყვეტილებას, პრესაზე პარტიული კონტროლის გაუქმება და სხვ.

კომუნისტურმა პარტიებმა გადაჭრით უკუაგდეს რევიზიონისტთა ეს არსებითად ლიკვიდატორული შეხედულებანი. მხოლოდ ახალი ტიპის მარქსისტულ-ლენინურ პარტიას, რომელიც იცავს პარტიული ცხოვრების ნორმებს, ერთგულია პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპებისა, შემჭიდროებულია, როგორც ერთიანი მთელი, შეუძლია უხელმძღვანელოს კომუნისტური მშენებლობის დიადი ისტორიული ამოცანების გადაწყვეტის საქმეს.

თანამედროვე რევიზიონიზმმა თავი იჩინა როგორც კაპიტალისტური ქვეყნების, ისე სოციალისტური ქვეყნების კომუნისტურ და მუშათა პარტიებში. რევიზიონისტები სხვადასხვა შირმით გვევლინებიან, მაგრამ შინაარსი ერთია: ბრძოლა მარქსიზმ-ლენინიზმის წინააღმდეგ.

ამ მხრივ განსაკუთრებით ისახელეს თავი იუგოსლავიელმა რევიზიონისტებმა. იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის ხელმძღვანელმა დაჯგუფებამ 1957 წ. ნოემბრის მოსკოვის დეკლარაციის საწინააღმდეგოდ წამოაყენა თავისი რევიზიონისტული პროგრამა, რომლითაც იერიში მიიტანა საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის მარქსისტულ-ლენინურ პოზიციებზე.

იუგოსლავიელი რევიზიონისტები ყოველნაირად ხოტბას ასხამენ მონოპოლისტურ კაპიტალიზმს, მიაწერენ მას მშვიდობიან დემოკრატიულ თვისებებს, ამავე დროს ლანძღავენ და აძაგებენ სოციალიზმის ბანაკს, მის ეკონომიკას სახელმწიფო-კაპიტალისტურს უწოდებენ, ხოლო მის პოლიტიკას იმპერიალისტურ თვისებებს მიაწერენ.

იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის პროგრამაში უარყოფილია მარქსიზმ-ლენინიზმის არა ზოგიერთი, არამედ ყველა ძირითადი დებულება, განსაკუთრებით კი მარქსისტული მოძღვრება კლასობრივ ბრძოლაზე, პროლეტარიატის დიქტატურაზე, პარტიაზე და ა. შ. იუგოსლავიის ხელმძღვანელი დაჯგუფების მიერ აღებული კურსის მიხედვით საქმე ეხება იმას, რომ იუგოსლავიაში მოხდეს კაპიტალიზმის რესტავრაცია, იუგოსლავიის ხალხებმა დაკარგონ სოციალისტური მონაპოვარნი.

სკკპ რიგგარეშე XXI ყრილობამ იდეოლოგიური მუშაობის დარგში პარტიის ამოცანად დასახა იდეურ - აღმზრდელობითი მუშაობის გაძლიერება, მშრომელთა და უწინარეს ყოვლისა მოზარდი თაობის კომუნისტური შეგნებულობის ამაღლება, მათი აღზრდა შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების, საბჭოთა პატრიოტიზმისა და ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით, ადამიანთა შეგნებაში კაპიტალიზმის გადმონაშთების დაძლევა, ბრძოლა ბურჟუაზიული იდეოლოგიის, რეფორმიზმისა და რევიზიონიზმის წინააღმდეგ.

შვიდწლიანი გეგმა გამანადგურებელი ლახვარია ბურჟუაზიული იდეოლოგიის, საერთაშორისო რეფორმიზმისა და რევიზიონიზმის წინააღმდეგ.

დოცენტი ს. ინწკირველი.

აზიისა და აფრიკის ქვეყნების სოლიდარობის საგჭოს მუდმივი სამდივნოს განცხადება

კაირო, 8 ივნისი. (საკდესი). აზიისა და აფრიკის ქვეყნების სოლიდარობის საბჭოს მუდმივმა სამდივნომ დღეს გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც გადაჭრით გმობს იმას, რომ ინგლისის კოლონიურმა ხელისუფლებამ 22 მაისს საგანგებო წესები შემოიღეს